F400w11670

ბოლშევიკური ახალგაზრდობისათვის

ტფ. სახ. უნივერსიტეტის კომუნისტ. ორგ. ორგანო

რედაქცია, ტფილისი, უნივერსიტეტის ჭუჭა, № 1 (უნივერსიტეტის შენობა)

ფასი 20 კაპ.

№ 2 (9) | 20 თებერვალი 1934 წ. | № 2 (9)

ᲡᲐᲙ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲙᲐᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲑᲘᲣᲠᲝ

ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ: ამხ. Ი. Ბ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ, Ვ. Მ. ᲛᲝᲚᲝᲢᲝᲕᲘ, Ლ. Მ. ᲙᲐᲒᲐᲜᲝᲕᲘᲩᲘ, Კ. Ე. ᲕᲝᲠᲝᲨᲘᲚᲝᲕᲘ, Მ. Ი. ᲙᲐᲚᲘᲜᲘᲜᲘ, Ს. Გ. ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲔ, Ვ. Ვ. ᲙᲣᲘᲑᲘᲨᲔᲕᲘ, Ს. Მ. ᲙᲘᲠᲝᲕᲘ, Ა. Ა. ᲐᲜᲓᲠᲔᲔᲕᲘ, Ს. Ვ. ᲙᲝᲡᲘᲝᲠᲘ.
ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ: Ა. Ი. ᲛᲘᲫᲕᲝᲚᲘᲐᲜᲘ, Ვ. Ი. ᲩᲣᲑᲐᲠᲘ, Გ. Ი. ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘ, ᲞᲐ. ᲞᲐ. ᲞᲝᲡᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ა. Ი. ᲠᲣᲫᲣᲢᲐᲫᲔ.

ᲕᲘᲛᲣᲨᲐᲝᲗ ᲘᲡᲔ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲛᲮ. ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ

საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობა უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის ყრილობაა. არც ერთ ყრილობაზე ჩვენი პარტია არ მისულა ასეთი ერთსულოვანი, ასეთი შემჭიდროებული ფოლადისებური რიგებით, როგორც მე-17 პარტყრილობაზე.

პარტიის გენერალური ხაზის „მემარცხენე"-მემარჯვენე მოწინააღმდეგეთა დღეს იძულებული არიან ქედი მოიხარონ პარტიის წინაშე, აღიარონ სისწორე იმ პოლიტიკის, რომელსაც ანხორციელებდა ლენინის პარტია ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით. ცხოვრებამ მწარედ დასცინა მემარჯვენე - „მემარცხენე" ოპორტუნისტებს. მათი „თეორიული არგუმენტები" სოციალიზმის მშენებლობის წინააღმდეგ ხუხულასავით დაანგრია სოციალიზმის გამარჯვებამ.

ტროცკისტ სოციალიზმისაკენ გაიმარჯვა საბოლოოდ და ურყევად. სწორედ ამიტომ ჩვენს გენიალურ ხელმძღვანელს—ამხ. **სტალინს** შეეძლო უარი ეთქვა საბოლოო სიტყვაზე, ვინაიდან კამათმა მისი მოხსენების გარშემო გამოამჟღავნა პარტიის სრული ერთსულოვნება ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობის საკითხებში.

ამხ. **სტალინის** მოხსენება ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, ამხ. **მოლოტოვისა და კუიბიშევის** მოხსენებები მეორე ხუთწლედის გეგმების შესახებ, ამხ. **კაგანოვიჩის** მოხსენება საორგანიზაციო საკითხებზე, ამხ. **მანუილსკის** მოხსენება რევოლიუციონური მოძრაობის აზვირთების შესახებ მთელს მსოფლიოში, კამათი ამ მოხსენების გარშემო, მოწმობენ და ნათელჰყოფენ, როგორ იზრდება და მაგრდება საბჭოთა კავშირი, როგორი გიგანტური ნაბიჯებით ძიდის იგი წინ. როგორ იქმედება ახალ ადამიანთა მილიონები, პირველად გაღვიძებული შეგნებული შემოქმედებითი ცხოვრებისათვის, როგორ იზრდება მსოფლიო რევოლიუციის ძალები.

„მე-17 პარტიული ყრილობა იყო გამარჯვებულთა ყრილობა. მაგრამ ეს იყვნენ ბოლშევიკური გამარჯვებულნი, ადამიანები, რომელთაც ლენინი და სტალინი ასწავლიან, რომ ყველაზე უფრო საშიში—ეს არის ძაძაარტავხოა, უქონლობა უხარისხ—დაიხახო განვითარების ყველა მხარე. ხათელი და ბნელიც. მე-17 ყრილობამ არა ბარტო ‘ბეაჯაბა სოციალიზმის დიადი გამარჯვებანი. ის ძაძეკ დროს იყო ბოლშევიკური თვითკრიტიკის ყრილობა. ამხ. სტალინმა თავის მოხსენებაში, მეცხოველეობის ძდგომარეობის დახასიათების დროს გვიჩვენა, თუ როგორ უშიშრად უდა ვამხილოთ ნაკლოვანებები, რომ ისიხი დავსძლიოთ და აღძოვფხვრათ" („პრავდა").

ყრილობამ ყურადღების ცენტრში დააყენა ბრძოლა ხარისხისათვის. ბრძოლა მაღალხარისხოვან საბჭოთა პროდუქციისთვის, ბრძოლა საბჭოთა ადაქიახების მუშაობის მაღალხარისხიანობისთვის, ბრძოლა გეგმების ხუსტად და დროზე შესრულებისათვის—აი ჩვენი გადაუდებელი და უპირველესი ამოცანა ყველგან—ფაბრიკა-ქარხნებში, ტრანსპორტზე, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობაში, კადრების აღზრდის საქმეში ჩვენი მუშაობის ყველა კუნჭულში.

ყრილობაზე გამოსული ყველა ამხანაგები თავის სიტყვებში ერთხმად აღნიშნავდენ იმ უდიდეს დამსახურებას, რომელიც ამხ. **სტალინს**—ლენინის საქმის უბადლო გამგრძელებელს ეკუთვნის სოციალიზმის მშენებლობის ბუმბერაზულ გამარჯვებათა ორგანიზაციაში, მემარჯვენე „მემარცხენე" ოპორტუნიზმის გაცამტვერებაში, პარტიის რიგების ფოლადისებური მთლიანობის უზრუნველყოფაში, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებაში.

„ამხ. სტალინ! ჩვენი ეპოქის ამ უდიდესი ადამიანის სახელთან დაკავშირებულია მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედები და ოცნებანი. დიდი გარდატეხის ეპოქები წარმოშობენ თავის გენიოსებს, რომლებსაც ისინი აბარებენ თავის ბედ-იღბალს. რა იქნებოდა მუშათა მოძრაობა უმარქსოდ და უენგელსოდ! რა იქნებოდა პროლეტარული რევოლიუცია და სოციალისტური მშენებლობა ულენინოდ და უსტალინოდ!" („პრავდა").

ამიტომ იყო, რომ პარტიული ყრილობა თავისი მუშაობის მთელს მანძილზე მხურვალე ოვაციებით დატაშისცემით ხვდებოდა ამხ. **სტალინის** სახელის ყოველ ხსენებას, ამიტომ არის, რომ ამხ. **სტალინის** სახელს სიყვარულით და სიამაყით იხსენიებენ საბჭოთა კავშირის მუშები და კოლმეურნენი, მთელი მსოფლიოს მშრომელები.

მე-17 ყრილობის მასალები—ყრილობაზე წაკითხული მოხსენებები და ყრილობის რეზოლიუციები წარმოადგენენ ჩვენი შემდგომი მუშაობის და ბრძოლის გაშლილ პროგრამას.

კერძოდ უმაღლეს სკოლის წინაშე მე-17 პარტიული ყრილობა ამოცანად აყენებს მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესებას, კადრების აღზრდის ხარისხის კიდევ უფრო აძაღლებას ახალგაზრდა სპეციალისტების დამეცნიერების შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური თეორიით, შეური გებელ ბრძოლას ყოველი ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, ბრძოლას თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობისათვის.

ჩვენი უნივერსიტეტი, რომელსაც პარტიის გენერალური ხაზის ურყევად გატარების საფუძველზე მთელი რიგი მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს აკადემიური და საზოგადოებრივ - პოლიტიკური მუშაობის ფრონტზე, მე-17 პარტყრილობის მუშაობის მასალებს გახდის თავისი მუშაობის სახელმძღვანელო პროგრამად.

ყოველი სტუდენტი, უნივერსიტეტის ყოველი მუშაკი დაწვრილებით ღრმად უნდა იცნობდეს ყრილობის მასალებს, რომ გარდაქმნან თავიანთი მუშაობა იმ სახელმძღვანელო მითითებების საფუძველზე, რომლებიც მოცემულია ამხ. **სტალინის, მოლოტოვის, კუიბიშევის და კაგანოვიჩის მოხსენებებში.**

მუშაობა ისე, როგორც გვასწავლის ამხ. **სტალინი,** მუშაობა ისე, რომ მთლიანად შევასრულოთ ის ამოცანები კადრების მომზადების საქმეში, რომლებიც ჩვენს წინაშე დაყენა მე-17 პარტიულმა ყრილობამ—აი ჩვენი საბრძოლო ამოცანა!

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲘ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ

(ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ - ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲘ)

საშემოდგომო სემესტრის დასწყისს საბელმწიფო უნივერსიტეტი, საერთოდ და კერძოდ, ისტორიულ-ლიტერატურული ფაკულტეტი საკმაოდ მომზადებულად შეხვდა. სასწავლო გეგმები, ლექციების განაწილება, პროფესორ-მასწავლებელთა კადრით უზრუნველყოფა, ლაბორატორია-კაბინეტების მოწყობა-დაკომპლექტება და სხვა,—აი ის მთავარი ღონისძიებანი, რომელიც ჩატარებული იყო სემესტრის დაწყებამდე.

ისტორიულ-ლიტერატურულმა ფაკულტეტმა ამ წინამძღვრებით დაიწყო ბრძოლა პარტიისა და ხალისუფლების სადირექტივო დადგენილებათა რეალიზაციისათვის. სემესტრის მთელს მანძილზე ფაკულტეტისა და ფაკულტეტში შემავალ კათედრების ყურადღების ცენტრში დასმული იყო მუშაობის მაღალ ხარისხობრივი ჭეჩენებლებისათვის ბრძოლა, კათედრების მუშაობის ცენტრის გადატანა სასწავლო-მეთოდოგიურ და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მაშინთულებით, მუშაობის გაჩაღება სახელმძღვანელო ლიტერატურის შეადგენლად, მუშაობის მეთოდები სდაზუსტება, ლექცია-სემინარების და პროსემინარების რაციონალურად განაწილება და შინაარსიერივად დაზუსტება, ბრძოლა გაკეთებულ ბრძოლა სტუდენტთა დაზოუკეთ-ბული მუშაობის გაღრმავება-გაფართოებისა ... და სხვ.

პირველი სემესტრის ნაყოფიერმა მუშაობამ, კათედრების შემობრუნებამ სასწავლო-მეთოდიური პროგრესისა და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებისა, პარტიულ, კომკავშირულ და სტუდენტთა ორგანიზაციების დაუღალავმა ბრძოლამ მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებელებისკენ პირველი სემესტრის დასასრულს შედეგათ მოგვცა სტუდენტთა წარმატება **სახელო საგნებში 4,1 და არასახელო საგნებში 3,8.**

ღრმაა, ფაკულტეტი ვერ დაკმაყოფილდება ამ მიღწევებით. სოციალისტური შენებლობა. მეორე ხუთწლიანის პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ამოცანების რეალიზაცია, მსოფლიო ისტორიულ მნიშვნელობის მე-17 პარტიული ყრილობის ვიერ დასახული საბრძოლო ამოცანების ბოლშევიკურად შესრულება ჩვენს უნივერსიტეტის და ჩვენს ფაკულტეტის ... ბრძოლა ამოცანად უსახავს მაღალხარისხოვანი, მარქსისტულ-ლენინურ-სტალინური ... ფილოსოფიით, მეცნიერებათა საფუძვლები ... ინარჩენებული თეორიტიკოს და პრაქტიკოს კადრების მომზადებას.

ეს ამოცანები გვავალებენ კიდევ უფრო ... ბრძოლა სტუდენტთა წარმატების მაღალხარისხ...

ბრივი მაჩვენებლებისათვის, პირველ სემესტრის მიღწევათა განმტკიცებისა და შემდგომ ამოცანათა განაღდებისათვის.

დღეანდლამდე ჩვენს მუშაობას მრავალი დეფიციტი ახასიათებს. პირველ სემესტრში ვერ შეესძელით ძირითადად აღმოგვეფხვრა დამახინჯებანი სტუდენტთა მიმდინარე აკადემიური წარმატების შეფასების საქმეში. ვერ შეესძელით საკმაოდ აღმოგვეფხვრა ძველი უნივერსიტეტის ყარიდწოდებული „მშრალი" ლექციების კითხვის ტრადიცია ზოგიერთ საგნებში, ვერ შეესძელით სტუდენტთა მასის ამოძრავება ფართო ლიტერატურით სარგებლობის საქმეში, ჯერ კიდევ ადგილი აქვს საგნებიდ მომზადებას და შეთვისებას მხოლოდ კონსპექტებით და სხვ.

საბრძოლო ამოცანათა შორის მეორე სემესტრში მთავარ ადგილს იკავრს რუსული ენის დაუფლების საკითხი იმდენად, რომ სტუდენტობამ თავისუფლად შესძლოს სპეციალური ლიტერატურით სარგებლობა.

თუ პირველ სემესტრში ძირითადში ვკმაყოფილდებოდით სტუდენტის ცოდნით ლექციებში მიწოდებულ მასალის ფარგლებში, მეორე სემესტრის ბოლოს თვითეულ სტუდენტს უნდა მოეთხოვოს ჩასაბარებელი საგანში ლექციების გარდა **ორი-სამი ... ლიტერატურული ნაწარმოები** კარგად ცოდნა, უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ სტუდენტი არ ტოვებდეს დაუმუშავებელს და შეუსწავლელს არც ერთ მეცნიერულ საშრომს (რუსულ-ქართულ ენებზე მაინც). თავის სპეციალობაში.

არა საკმარისად იყო გაშლილი ბრძოლა იდეოლოგიურ ფრონტზე. ჩვენი ფაკულტეტის პროგრამები ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ აკმაყოფილებენ ჩვენს მოთხოვნილებებს, ადგილი აქვს მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიის დამახინჯებას, ადგილი აქვს, ზოგიერთ დისციპლინებში, მეტად მკრთალ უმნიშვნელო, იდეოლოგიურად და პეციფიურულად მეტად სუსტი პროგრამების წარმოდგენას. ჩვენი საბრძოლო ამოცანაა უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ პროგრამაც ბიდან შემჩნეული დაბოლოებანი.

არა ნაკლებ ყურადღებას იქცევს გაკეთების საკითხი როგორც პროფესორ-მასწავლებელთა, ისე სტუდენტთა მხრივ, ადგილი აქვს ლექციებზე დაგვიანებიდან გამოცხადებას, ლექციისათვის განკუთვნილ დროის არარაციონალურად გამოყენებას. ლექციებიდან ადრე, ლექციის დასრულებამდე წასვლას და სხვ. სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს გაცდენებს და დაგვიანებებს, მედგარი ბრძოლა უნდა გაეშალოთ სამუშაო დროის შეუჭიდროებლობისათვის **ჩვენი მორიგი და ყოველდღიური** საბრძოლო ამოცანა მეორე სემესტრში უნდა იყოს ბრძოლა სამუშაო დროის **რაციონალურად** გამოყენებისათვის, **არც ერთი** წუთის გაცდენა, **არც ერთი** წუთიც **დაკარგვა** ანება.

მხოლოდ ამ ღონისძიებათა გაშლათ. ყოველდღიური ბრძოლით მიღწეულ წარმატებათა განმტკიცებისათვის და ახალ წარმატებათა მიღწევისათვის შეეძლებთ გაეამართლოთ **პარტიისა და ხელისუფლ**ების დავალებანი,—შეეძლებთ ბოუმზადოთ მაღალხარისხოვანი კადრები სოციალიზმის მშენებლობას.

ლ. ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲐᲕᲘ.

ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲔᲕᲔᲑᲘ

თვითმფრინავის ასაგებ ფონდში შემომაქვს ასი (100) მანეთი და ვიწვევ ჩემს პრორექტორებს.

ლ. ᲐᲚᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

თვითმფრინავის ასაგებ ფონდში შემომაქვს ასი (100) მანეთი და ვიწვევ: ამხ. გ. ჯანელიძეს. შ. ... ლიხარულიძეს, ირ. სურგულაძეს, ლ. ციხისთავს, აკაკი ჭყონიას, კ. ანდრიაძეს.

Ხ. ᲛᲘᲜᲓᲐᲫᲔ

ᲥᲐᲜᲔᲗᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲡ—„ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ" ᲤᲝᲜᲓᲨᲘ

20 თებერვლამდე თვითმფრინავის „ტფილისის უნივერსიტეტი"-ს ფონდში შემოხულია 16.662 მანეთი

ფაკულტეტის მიხედვით:

ისტორ.-ლიტ. ფაკ.	2.519 მ
სამართლის	1.067 მ.
საბუნებისმეტყველო	1.887 მ
ფიზიკო-მათემატ.	660 მ
ეკონომიური	3462 მ.
მუშფაკი	2067 მ
...ლსპირან. ინსტიტუტი	950 მ.
...ადგილკომი (პროფესორ-ლექტორთა	
...ადმინისტრ. ტეხნ. პერ.	4.059 მ

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲠᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

16 თებერვალს შესდგა ტფ. სახ. უნივერსიტეტის დამკვრელ სტუდენტთა მეორე კონფერენცია, რომელიც გახსნა სტუდენტთა აღმასკომიურობა თავმჯდომარემ ამხ. **კ. ბარათელიამ.**

თავის სიტყვაში ამხ. ბარათელიამ აღნიშნა ის დიდი მიღწევები, რომლებიც უნივერსიტეტმა პირველ სემესტრში მოიოცა საკ. ცკის 19 სექტემბრის დადგენილების გადაუხრელად გატარების საფუძველზე სასწავლო გეგმების შესრულების საქმეში. სტუდენტთა თითქმის 100 პროც. ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში, 40 პროცენტზე მეტი — დამკვრელებია. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი ჩვენი სტუდენტი დამკვრელის ვალდებულებებს ფორმალურად კისრულობს, საქმით არ იბრძვის დამკვრელობისთვის. შემოწმებამ ბევრი ასეთი ცრუდამკვრელი გამოამჟღავნა. სასტიკი ბრძოლა ცრუდამკვრელობასთან — აი ჩვენი გადაუდებელი ამოცანა. ესასტიკესი საზოგადოებრივი ზეგავლენის ზომები იმათ წინააღმდეგ, ვინც არცხვენს დამკვრელის სახელოვან სახელს.

მნიშვნელოვან წარმატებას მივაღწიეთ სტუდენტთა შორის დისციპლინის განმტკიცების საქმეში, რამაც პირველ რიგში გამოხატულება ჰპოვა ლექციების გაცდენებისა და ლექციებზე დაგვიანების საგრძნობათ შემცირებაში. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. ჩვენი ამოცანაა — ნოლამდე დავიყვანოთ ლექციების საპატიო ბიზეის გარეშე გაცდენა, სრულიად აღმოვფხვრათ ლექციებზე დაგვიანება.

სოცშეჯიბრების და დამკვრელობის გაშლამ აამაღლა სტუდენტთა აკადემიური დონე. ჩვენი პროფესორ - ლექტორები მხურვალედ ეხმაურებიან სტუდენტთა ამ გაზრდილ მოთხოვნილებას და ამ შეერთებული ძალღონით ჩვენ დავსძლევთ ყველა სიძნელეებს მეცნიერების დაუფლების გზაზე.

განსაკუთრებული ყურადღების საგანს წარმოადგენდა მარქს - ლენინ - სტალინის მოძღვრების დაუფლება. აქაც ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები, რაც აღნიშნეს ზედამმა პარტიულმა ორგანიზაციამ.

როდესაც ვლაპარაკობთ უნივერსიტეტის მიღწევებზე, შეუძლებელია არ აღინიშნოს, რომ ეს მიღწევები წარმოადგენენ იმ კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობის შედეგს, რომელიც ჩვენ გვქონდა უნივერსიტეტის რექტორის ამხ. **ლ. აღნიაშვილის** და პარტკომის მდივნის ამხ. **ხ. მინდაძის** მხრივ.

ამხ. ბარათელიას სიტყვის შემდეგ კონფერენციამ აირჩია საპატიო პრეზიდიუმი. ამხ. **სტალინის** დასახელებას საპატიო პრეზიდიუმში მთელი კონფერენცია მხურვალე ტაშით და ოვაციებით შეხვდა. ხანგრძლივი ტაშით შეხვდა კონფერენცია აგრეთვე ამხ. **ლ. ბერიას** არჩევას საპატიო პრეზიდიუმში.

საქმიან პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ **ამხ. ლ. აღნიაშვილი,** ხ. მინდაძე, გ. ჯანელიძე, კ. ჭკუასელი, **ი. ხირსელი** და ზოგიერთი საუკეთესო დამკვრელი სტუდენტები.

საპატიო და საქმიანი პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ სასწავლო ნაწილის გამგემ ამხ. **კ. ჭკუასელმა** გაკეთა მოხსენება პირველ სემესტრში სასწავლო გეგმების შესრულებისა და მეორე სემესტრის ამოცანების ესახებ.

თავისი მოხსენების დასასრულს ამხ. **ჭკუასელმა** აღმასკომიურის სახელით გარდამავალი დროშა გადასცა ისტორიულ - ლიტერატურულ ფაკულტეტს, რომელმაც პირველი სემესტრი ყველაზე უკეთესი მაჩვენებლებით დაამთავრა.

ამხ. კიკელიძემ, რომელმაც ჩაიბარა დროშა ფაკულტეტის სახელით დაპირება მისცა კონფერენციას, რომ ფაკულტეტი მეორე სემესტრშიც მედგრად იბრძოლებს გეგმების შესრულებისთვის და ხელიდან არ გაუშვებს საპატიო ჯილდოს.

საუკეთესო დამკვრელები, რომლებიც აკადემიურ წარმატებას ათავსებენ ფართო საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობასთან, დაჯილდოებული იქნენ სანატორიუმებში გაგზავნით, შორეული ექსკურსიით, ერთი თვის სტიპენდიით, სამრეწველო საქონლით, ლიტერატურით.

ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲣᲚ ᲘᲥᲜᲔᲑᲘ:

ეკონომიურ ფაკულტეტზე — ამხ. კ. ბარათელია, კ. ბაბილოძე, რ. ოთხ ...ეზური, მ. მახარაშვილი, გ. გიორგობიანი, პ. მეტრეველი, ბ. პატარაია და სხვ.

ისტ.-ლიტ. ფაკულტეტზე — ამხ. შ. კალანდარიშვილი, დ. მეგრელიშვილი, ხ. კირისი-ოღლი, შ. მაღრაძე, პ. კეკელიძე, გრ. გამსახურდია, რ. მჭედლიშვილი, ნ. ბერაია, ვ. შამუგია, არ. კობაიძე, ვ. დათუნაშვილი და ვ. კორტავა.

საბუნებ. ფაკულტეტზე — ამხ. ვ. კაკაბაძე, ა. ურუშაძე, ნ. ჭიკაშვილი, დ. მამფორია, ტ. ჩიჩუა, ლ. კუტუბიძე და სხვ.

ფიზიკო-მათ. ფაკულტეტზე — ამხ. ს. კეკელიძე, გ. ცქვიტარია და სხვ.

სამართლის ფაკულტეტზე — ამხ. ა. ბუაჩიძე, გ. სამსონია და სხვ.

ისტ.-ლიტ. ფაკულტეტის დეკანის ამხ. **ლ. ციხისთავის** წინადადებით ამხ. **შ.** კალანდარიშვილი, როგორც საუკეთესო წარჩინების მქონე და დამკვრელი სტუდენტი ჩარიცხულ იქნა უმცროს სამეცნიერო მუშაკად და იმუშავებს რომელიმე კათედრასთან.

კონფერენციაზე დაჯილდოებულ იქნენ აგრეთვე საუკეთესო აკადემიური ჯგუფები.

კონფერენციაზე აღინიშნა აგრეთვე ჩანიმუშო მუშაობა მთელრიგ პროფესორ - ლექტორების, რომლებსაც არა აქვთ გაცდენილი არც ერთი ლექცია. ესენი არიან: პროფესორები — **კ. ბაქრაძე, კ. კეკელიძე, აკ. შანიძე, ი. სურგულაძე, ნ. მუსელიშვილი, ი. ბერიტაშვილი, ალ. ჯავახიშვილი** და სხვ., დოცენტები — **გრ. ჯანელიძე, კ. ჭკუასელი, ბ. რამიშვილი, ალ. ნამორაძე, შ. სიხარულიძე** და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდენ ამხ. ხირსელი, პ. მეტრეველი, ვაჭარაძე, ჭელიძე და სხვ.

პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. **ხ. მინდაძემ,** რომელსაც კონფერენცია მხურვალე ტაშით შეხვდა, მოუწოდა საუკეთესოთა კონფერენციას და მათი სახით უნივერსიტეტის მთელ სტუდენტობას სტალინურად-ბოლშევიკურად იბრძოლონ მარქსისტულ - ლენინური თეორიის დაუფლებისთვის და ამ თეორიით შეიარაღებულებმა უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნა გამოიყენონ სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე.

ამიერ - კავკასიის ბოლშევიკების მეთაურს ამხ. **ლავრენტი ბერიას** ჩვენ სიტყვა მივეცით, რომ არც ერთი სუსტი, არც ერთი ჩამორჩენილი სტუდენტი არ გვეყოლება. დიდი წარმატებები მოვიპოვეთ ამ დაპირების რეალიზაციისათვის ბრძოლაში. მაგრამ ეს არ კმარა. პირობა უნდა შესრულდეს მთლიანად: არ უნდა გვყავდეს არც ერთი სუსტი, არც ერთი ჩამორჩენილი სტუდენტი.

ამხ. მინდაძის სიტყვა დაფარა მქუხარე ტაშმა.

უნივერსიტეტის დამკვრელთა მეორე კონფერენციამ გამოიწვია ენტუზიაზმის ახალი ტალღა ჩვენ სტუდენტობაში, რაც თავდებია იმის, რომ მეორე სემესტრს დავამთავრებთ კიდევ უფრო მეტის წარმატებებით.

Ი. ᲗᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲫᲔ.

—:—

დამკვრელთა კონფერენციამ სანიმუშოდ და ენერგიული მუშაობისთვის სასწავლო გეგმების შესასრულებლად მადლობა გამოუცხადა შემდეგ პროფესორ-ლექტორებს: პროფესორებს—**კ. ბაქრაძეს, კ. კეკელიძეს, ა. შანიძეს, ა. ჩიქობავას, დ. უზნაძეს, გ. ნათაძეს, ვეხტმანს, ნ. მუსელიშვილს, ი. ბერიტაშვილს, ალ. ჯავახიშვილს, ირ. სურგულაძეს, გ. ნანეიშვილს,** დოცენტებს—**შ. სიხარულიძეს, ვ. თოფურიას, კ. ჭკუასელს, მ. ...ანდუკელს, ს. ჯანაშიას, ალ. ნამორაძეს, ბ. რამიშვილს, ალ. ...ბარანიძეს, ა. სიგუას, ირ. მიქელაძეს, გ. ჯანელიძეს, შ. სანიკიძეს, ...ეფეოს, ყავრიშვილს, ბოჟორიშვილს, ი. ძაძამიძეს, გ. გამყრელიძეს, არ. გოკიელს, ვ. ჩანტლაძეს** და ასისტენტებს —**გელოვანსა** და **სამსონიას.**

უფრო მაღლა მარქსისტულ-ლენინური აღზრდის დროშა, მეტი სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე

საქ. კ.პ. (ბ) ცეკას კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. კ. ორაგველიძის სიტყვა საქ.კ.პ. (ბ) IX ყრილობაზე

31 ოქტომბრის ისტორიულ დადგენილებაში საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენება ა.-კ. პარტორგანიზაციებში. მარქსისტულ - ლენინური აღზრდის, პარტიული სწავლების საქმე საქართველოში მაშინ მართლაც უხეიროთ იყო დაყენებული. მაგ. 30-31 წელს პარტგანათლების ქსელში გაიარა კომუნისტების მხოლოდ 23 პროცენტმა.

დღეისათვის მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა; ახლა ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ სერიოზული გამარჯვება მარქსისტულ - ლენინური აღზრდის, მარქს - ლენინ-სტალინის თეორიით კომუნისტების შეიარაღების ფრონტზე. 31-32 წელს პარტგანათლების ქსელში გაიარა კომუნისტების 50 პროცენტმა, 32-33 წელს 82 პროცენტმა, ამჟამად კი ამ ქსელში ჩაბმულია კომუნისტების თითქმის 100 პროც. ეს სერიოზული გამარჯვებაა. გაუმჯობესდა აგრეთვე პროპაგანდისტთა შემადგენლობა და სწავლების ხარისხი.

მიუხედავად ამისა, ამ დარგში ყველაფერი რიგზე მაინც არ არის. აი ზოგიერთი ფაქტი: ერთერთი პროპაგანდისტი ასე ახასიათებდა დემოკრატიულ ცენტრალიზმს: „თუ ზემდგომი ორგანოების დადგენილება სავალდებულოა ქვემდგომი ორგანიზაციისათვის, მაშინ ქვემდგომი ორგანიზაციის დადგენილებაც სავალდებულოა ზემდგომი ორგანოებისათვის“ (სიცილი). გამოდის, რომ **უჯრედის დადგენილება სავალდებულოა საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის და პირიქით;** ამგვარად, გადაწყვიტა ამ ურა-პროპაგანდისტმა დემოკრატიული ცენტრალიზმის საკითხი. ერთი პროპაგანდისტი საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1933 წლის იანვრის პლენუმის დადგენილების შესახებ ამბობდა: „მუშაობის ძველი მეთოდები აღარ გამოდგებოდა, რადგან კულაკმა დაკარგა ნდობაო“. გამოდის, რომ წინეთ კულაკს ქონდა ნდობა და იანვრის პლენუმის შემდეგ დაკარგა ასეთი და თითქოს ამით აიხსნება ჩვენი მუშაობის მეთოდების შეცვლა. მეორე პროპაგანდისტი ამბობდა: „როცა ჩვენ გადავედით ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე, მაშინ კულაკი შეეცადა ხელში ჩაგდო მიწა და ამიტომ მოვახდინეთ ამ მიწების ნაციონალიზაციაო“. ასეთი ფაქტები ბევრია; ისინი ადასტურებენ, რომ პარტორგანიზაციები ყურადღებას არ აქცევენ პარტიული სწავლების ხარისხს, რის შედეგად პარტიული აღზრდის ნაცვლად ზოგჯერ ვიღებთ ანტიპარტიულ, ანტიკოლენინურ აღზრდას. საჭირო ყურადღების მიუქცევლობის გამო, პროპაგანდისტების ან მსმენელთა მიზეზით ზოგან ჩაიშალა წრეების მუშაობა. საჭიროა სკოლის ან წრის არა მარტო მოწყობა, არამედ მასზე სისტემატიური ხელმძღვანელობა.

ორიოდე სიტყვა პრესის შესახებ. ამ დარგში ჩვენ შევასრულეთ მერვე ყრილობის - გადაწყვეტილება. თითქმის ყველა რაიონში გამოდის რაიონული გაზეთი, მთავრდება პოლიტგანყოფილებათა გაზეთების ორგანიზაცია; გასულ წელს რაიონში გადავიდა 65 სარედაქციო მუშაკი, მიუხედავად ამისა, საგაზეთო კადრების მომზადების დარგში მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ზოგიერთი რაიონული გაზეთი იმის მაგვარად, რომ საწარმოო-საფინანსო იეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში; იყოს მასების მობილიზაციის ბასრი იარაღი, უფრო მეტ ყურადღებას აქცევს ზოგჯერ მეტათ საეჭვო ხარისხის „თეორიულ“ აბდაუბდებს; ერთი რაიონული გაზეთი წერს: „მარქსმა დაამტკიცა, რომ კაპიტალისტური წარმოების განსაზოგადოების გიგანტური პროცესი წარმოადგენს კაპიტალიზმის სოციალიზმათ გადაქცევის უმთავრეს მატერიალურ საფუძველს“. ეს არის მოწესრიგებული კაპიტალიზმის თეორია, რომელიც შემოგვთავაზა **მარტვილის** სარაიონო გაზეთმა. **აღბულალ-მანგლისის** გაზეთშიც ხშირათ შეხვდებით მთელ რიგ არასწორ ფორმულირებებს და შემცდარ დებულებებს. ეს გაზეთი წერს: „რელიგიურ მოძღვრებათა უსაფუძვლობა დაინახეს დასავლეთის ბურჟუაზიის მოწინავე ადამიანებმა, მაგრამ მათ რასაკვირველია არ შეუძლიათ ბოლშევიკურათ ებრძოლონ ამ მოძღვრებას“. (1933 წლის 16 აპრილი). თითქმის ეს ბურჟუაზიის მოწინავე ადამიანებმა ოდესმე დააყენეს რელიგიისან ბოლშევიკური ბრძოლის საკითხი. იმავე გაზეთში (1933 წლის 24 აგვისტ.) პარტიის მეორე ყრილობის შესახებ ეკითხულობთ: „ლენინი პლეხანოვთან ერთად მკაცრად გამოიდა მარტოვის ფორმულის წინააღმდეგ და მხოლოდ ამ მწვავე ბრძოლის შემდეგ მიიღო ყრილობის უმრავლესობის (ბოლშევიკების) ხმები, ხოლო მარტოვის მხარეზე დარჩენ უმცირესობა (მენშევიკები)“. ეს არ შეეფერება სინამდვილეს, რადგან პარტიის წევრობის საკითხში მეორე ყრილობაზე ბოლშევიკებმა მიიღეს უმცირესობა. სავსებით სწორათ არაა გაშუქებული აგრეთვე პლეხანოვის როლი.

სარეწაო კოოპერაციის - გაზეთი წერს, რომ „სარეწაო კოოპერაციის სისტემას გააჩნია ისეთი თავისებურებანი, რომელნიც აუცილებლად იწვევენ პარტიის წევრების გადაგვარებას, აქცევენ მათ ყოფილი ადამიანების გავლენის ქვეშ“. აქედგანაც, ვინც არ უნდა გაგაბავხოთ საოეწაო კოოპერაციაში, აუცილებლად მოექცევა ყოფილი ადამიანების გავლენის ქვეშ. ყველა ეს ფაქტი ლაპარაკობს, რომ რაიონულ გაზეთებს ზოგჯერ სერიოზულ ყურადღებას არ აქცევენ ადგილობრივი პარტორგანიზაციები. გაზეთი წარმოადგენს პარტიის დირექტივების გახმოვიანელებისათვის ბრძოლის მახვილ იარაღს, ძას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

უნდა ვილაპარაკო ბოლშევიკური პრესის გავრცელების შესახებ. ეს საქმე ყოველად უიაგესოთაა დაყენებული; იგი აბაოია „სოიუზაეიატ“ და ფოსტას. ცენტრალური კომიტეტის იაოეების იეიდგე „სოიუზაეიატის“ მუშაობა გაუმჯობესდა, მაგრამ არავითარი გაუმჯობესებაა აო ოოძღდაოა კავშიოგაბიულობის ორგანიზაციების ბუსაობაში. გაზეთის დაგვიანებით ბიუოდება ხელისუფლებისათვის, აუპოლებს გაზეთების ფიაისიუო ოდგოოაოოებაა და ხელს უშლის მათი ტირაჟის ზრდას. ეოთ-ერთძა ამხანაგმა 1934 წ. ოქტომბერში გვაცნობა: „ყვარელის ფოსტაში იანვიოდან ყრია გაზეთები და ჟურნალები, ხელის მოსაწერლები მათ

საღებათ თითონ ბიდიან ფოსტაიო“. დუბეთიდან იწერებიან: „ფოსტა - ტელეგრაფის გაიყოფილებამ კიდევ უფრო გაუთაოესა გაზეთების მოყოდება, რაც იწვევს ხელისუფლების უკმაყოფილებასო“. ფოთში, 826-ის ეაცვლად ბიიღეს 426 ცალი „კომუნისტი“. ქიათურიდან გვწერენ: „გაოოვიწერეთ 1999 ცალი „კოოუნიტი“ და ბივიღეთ 1000 ცალი, „ბუბა“—1083-ის ეაცვლად ბივიღეთ 1741 ცალიო“, ყველა ეს ფაქტი მიუთითებს ფოსტის ყოველად უსიგავსო ძუაობაზე. ფოსტა დღეიდე აო თვლის ბოლშევიკური პოესიის გავრცელებას თავის ეაიდვილ საქმედ; ააოტიამ და ხელისუფლებამ კი სწოროთ მას დაავალა ეს საქმე. ამ დარგში უნდა ძოიდეს სერიოზული გარდატეხა.

მოკლეთ ბევეიოდები რევოლუციური ძოძრაოიის და ჩვენი ააოტიის ისტორიის საკითხებზე. ამხ. ბერია აქ დაუვრილებით ეეეხო ამ საკითხს. მეიიღეს ყველა ყველა ამხანაგისათვის არ იყოს ცხადი ამ საკითხების ირგვლივ ყურადღების გამახვილების მნიშვნელობა.

ამხანაგებო! ამხ. ლავრენტის გამოსვლა ამ ყრილობაზე საფუძველს უყრის სერიოზულ გარდატეხას საეკონომიურო - თეორიულ და იდეოლოგიურ ფრონტზე, ყოველგვარი დაძაბიბჯების წიხააღმდეგ ბოძოლის და თვითკრიტიკის გაალის დარგში; ამ გაძოსვლით საქართველოში ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები კიდევ უფრო მაღალ პოლიტიკურ დონეზე ადის. ამხ. ლავრენტიმ პირველმა წამოაყენა თეზისი რევოლუციურ მოძრაობის ისტორიაში ორ ამიერ-კავკასიასა და საქართველოში ბოლშევიზმის ჩასახვასა და წარმოშობაში ამხანაგ სტალინის უდიდესი როლის შესახებ. მე ვფიქრობ, რომ ეს თეზისი, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს და რომელსაც დღემდე უარყოფს ზოგიერთი ისტორიკოსი — კომუნისტი, აუცილებლად შეეა ჩვენი პარტიის ისტორიის რკინის ფონდში.

ამხ. ფ. მახარაძე აქ ლაპარაკობდა თავის ისტორიულ ნაშრომებზე უხდა აღინიშნოს, რომ ამხ. მახარაძის შრომები („1905 წ., „მუშათა ძოძრაობის ისტორია საქართველოში“, და სხვ.), საიდანაც მე მოვიყვან ამოწაწერებს, გამოქვეყნებულია უკანასკნელ პერიოდში, 32-33 წლებში, ეს მისი უკანასკნელი ნაშრომებია. თუ ავიღებთ ამხ. ფილიპეს ძველ ნაშრომებს, რასაკვირველია იქაც შეხვდებით მეტათ სერიოზულ შეცდომებს, მაგ. ამ ამაზე ახლა მე არ შეეჩერდები.

აქ მე მხოლოდ ერთ გარემოებას უნდა გაუსვა ხაზი. მე ვამტკიცებ, რომ ამხანაგმა ფილიპემ **ვერ გაიგო თავისი შეცდომები, არ იცნო და არ აღიარა ისინი.** ერთი მხრივ მან აღნიშნა, რომ არაა სწორი თითქოს ის თავის ნაშრომებში არ შეხებიდეს ამიერ - კავკასიასა და საქართველოში რევოლუციურ მოძრაობაში ამხანაგ სტალინის უდიდეს როლს, მეორე მხრით კი ამხანაგმა ფილიპემ მიგვითითა თავის უკანასკნელ სტატიაზე, რომელიც მოთავსებულია კრებულში „პროლეტარული რევოლუციაში“ (გამოვიდა ქართულ ენაზე, 1933 წელს). მან ამ სტატიიდან მოიყვანა ერთი ადგილი და აღნიშნა, რომ ეს ადგილი სავსებით სწორია მე ვამტკიცებ, რომ არც ეს ადგილია სწორი. აი რა სწერია იქ: „ოპორტუნიზმის საფუძვლის ჩამყრელად საქართველოში გახდა ნოე ჟორდანია, რომელიც შემდეგ გადაიქცა ქართული მენშევიზმის მამამთავრად, რაც შეეხება მარქსიზმის რევოლუციურ ფრთას, მას ყავდა წარმომადგენლების მთელი რიგი, რომელთაგან შემდეგ გამოვიდა ამხ. სტალინი, რომელიც მოკლე დროში შეიქნა რევოლუციური მარქსიზმის უდიდესი თეორეტიკოსი, მუშათა რევოლუციური მოძრაობის ხელმძღვანელი და სულის ჩამდგმელი ამიერ-კავკასიაში“ (გვ. 19).

მაშ ასე: რევოლუციურ ფრთის სათავეში იდგა მარქსისტების ჯგუფი და აი ამ ჯგუფიდან **მხოლოდ შემდეგ ხანებში** გამოვიდა ამხანაგი სტალინი, რომელიც მოკლე დროში გახდა მუშათა რევოლუციურ მოძრაობის ხელმძღვანელი; მაშასადამე, იმ მომენტამდე, როდესაც სტალინი „გახდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის ნამდვილი ხელმძღვანელი“; **ვიღაც** უნდა ყოფილიყო ასეთი, **ვიღაც** უნდა ყოფილიყო მაშინდელი ორგანიზაციის მომწყობი, უნდა გაძღოლოდა მაშინდელ რევოლუციურ მოძრაობას. აი ამიტომ, როდესაც ამხანაგ ფილიპემ მოიყვანა ეს ამონაწერი მე დავრწმუნდი, რომ მან ვერ გაიგო თავისი შეცდომები, რომელთა აღიარებაზე ის აქ ლაპარაკობდა; ამას ამტკიცებს მეორე ადგილიც ამხ. ფილიპეს უკანასკნელ წერილში, სადაც იგი სტალინს ისხენიებს მხოლოდ ცაბაძესთან, ჩოდრიშვილთან, ს. ჯიბლაძესთან და სხვებთან ერთად (გვ. 17).

ამხ. ფილიპეს ეს შეცდომა დაკავშირებულია მის მეორე შეცდომასთან; თუ ეს შეცდომა გამოსწორდება, მაშინ პირველი შეცდომაც იქნება შეგნებული და გამოსწორებული. რომელი შეცდომის შესახებ ვლაპარაკობ მე აქ? მე მხედველობაში მაქვს პოლიტიკურ ასპარეზზე ამხანაგ სტალინის გამოსვლამდე არსებული პერიოდის შეფასებას, მესამე დასის“ პერიოდის, ეგრეთწოდებული „მესამედასელების“ ანუ „კვალელ“-თა შეფასება. ამხ. ფილიპეს მთელ ოიგ უკანასკნელ შრომებში პირდაპირაა ნათქვამი, რომ „მესამე დასი“ წარმოადგენს მარქსისტულ ჯგუფს, რომელმაც მუშებს განუმარტა მარქსიზმის დედა-აზრი, 90-იანი წლების დასაწყისში საქართველოში „აღმოცენდა ახალგაზრდა მარქსისტების ჯგუფი, რომელმაც თავისი პიროველი გამოსვლა დაიწყო ლეგალური პრესის საშუალებით“. ს. ჯიბლაძემ „ათავის სიტყვაში საფლავზე გააცხო აუდიტორიას ახალი მიმდინარეობის არსი, მარქსიზმის დედა-აზრი“ („მუშათა მოძრაობის ისტორია“ გვ. 162—63).

მე ვფიქრობ, რომ დებულება, თითქოს „მესამე დასი“ წარმოადგენდა მარქსისტულ ჯგუფს არაა სწორი, ეს ამ ჯგუფის შემცდარი შეფასებაა ეს ჯგუფი წარმოადგენდა სხვას არაფერს, თუ არა იმ - ოპორტუნიზმის ერთერთ სახეობას, რომელიც მაშინ არსებობდა რუსეთში, წარმოადგენდა ლეგალური მარქსიზმის ერთეულ სახეობას. ეს ჯგუფი მიზნათ ისახავდა ილია ჭავჭავაძის („ივერია“) წინააღმდეგ ბრძოლას და სტრუვესებურად ასაბუთებდა ამიერ-კავკასიაში და საქართველოში კაპიტალიზმის შემარებითი განვითარების თეზისს, რაც რასაკვირველია სრულიად არ წარმოადგენს მარქსიზმს. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამიერ-კავკასიის და საქართველოს რევოლუციურ მოძრაობის ისტორიაში ამხ. სტალინის უდიდესი როლის შესახებ, კეთილსინდისიერებაში გვაქვს სწორედ ის გარემოება, რომ პირველი ხელმძღვანელი, ნამდვილი რევოლუციური მოძრაობის ორგანიზატორი, პირველი ნამდვილი **რევოლუციონერი მარქსისტი,** რომელმაც მოაწყო **ნამდვილი მარქსისტული მუშათა წრეები და პარტორგანიზაციები** იყო ამხანაგი სტალინი. აი ამ თეზისს უარყოფდა აქამდის ამხ. ფილიპე. მე ვფიქრობ, თუ ამხანაგი ფილიპე გადაათვალიერებს თავის თვალსაზრისს „მესამე დასის“ შეფასების საკითხში, ის მიხვდება და შეიცნობს ამ შეცდომასაც.

ჩვენთან აქა-იქ კიდევ პოულობს გასაგალს ის აზრი, რომ ჟორდანია და საერთოდ მენშევიკები რევოლუციამდე ნამდვილი მარქსისტები და ნამდვილი რევოლუციონერები იყვნენ და აი, 1917 წლის რევოლუციის შემდეგ გახდენ არამარქსისტები. მე მოვიყვან ერთ ადგილს. ჟორდანიას წიგნის—„ნაციონალური საკითხი“ წინასიტყვაობაში კომუნისტი კაკაბაძე წერდა შემდეგს; „მიუხედავათ ამისა, ჟორდანიას თხზულებანი ახლა საინტერესოა თავისი ისტორიულ - ეკონომიური დოკუმენტებითა, მკითხველს, რომელსაც სურს ნაციონალური საკითხის შესწავლა, ურჩევ ყურადღებით შეისწავლოს ეს წიგნი და შეადაროს ერთმანეთს ჟორდანია მარქსისტი (1919 წლამდე) ჟორდანია - ნაციონალისტს (1918 წლის შემდეგ“). კაკაბაძის აზრით გამოდის, რომ ყოფილა ორი ჟორდანია, ჟორდანია-მარქსისტი 1918 წლამდე, ხოლო 1918 წლის შემდეგ არა მარქსისტი. ეს ძირშივე შემცდარი დებულებაა. ამ დებულებას ახლაც ბევრ იმეორებენ ნაშრომებში, მაგრამ თუ მე ამის შესახებ ვლაპარაკობ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი აქა-იქ ჯერ კიდევ სეირნობს და თაყვანისმცემლებიც ჰყავს. ყველა ამგვარ შეცდომების წინააღმდეგ ჩვენ უნდა გავაფრთხილოთ გადამწყვეტი ბრძოლა (**ბერია** — როდისაა დაწერილი?) დაწერილია 1922 წელს.

ჩვენ უნდა გავამახვილოთ ყურადღება ყოველგვარ ანტი-ლენინურ ელემენტებთა და დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე და კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბოლშევიკური სიფხიზლე იდეოლოგიურ ფრონტზე.

ამხ. სტალინის სიტყვაზე

უპირველეს ვალდებულებებით

ამხ. სტალინის მოხსენებამ მე-17 პარტყრილობაზე, მოხსენებამ, რომელშიც მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელმა ბელადმა და სოციალისტურ გამარჯვებათა დიდმა ორგანიზატორმა მოგვცა საერთაშორისო მდგომარეობის—კაპიტალიზმის კრიზისის და საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის ბუმბერაზულ გამარჯვებათა ღრმა მარქსისტულ - ლენინური ანალიზი და მომავალი მუშაობის სამოქმედო პროგრამა, — უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა ყველგან საბჭოთა კავშირში და კერძოდ ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თებერვლის პირველი რიცხვებიდან დაწყებული უნივერსიტეტის ყველა რგოლებში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს. ამხ. სტალინის მოხსენების დასამუშავებლად, შესასწავლად და მასთან დაკავშირებით ახალ ვალდებულებების მისაღებად.

არ დარჩენილა არც ერთი აკადემიური ჯგუფი, არც ერთი რგოლი, სადაც არ დამუშავებულა ამხ. სტალინის მოხსენება, სადაც ამხანაგებს არ მიუღიათ კონკრეტული ვალდებულებები ბელადის მითითებათა რეალიზაციისათვის.

ეს ვალდებულებები ძირითადად შემდეგია:

ბოლშევიკური ბრძოლა სასწავლო გეგმების რაოდენობითი და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, სასწავლო დისციპლინის გაძლიერებისათვის, ლექციების უმიზეზოდ გაცდენის ძირფესვიანად აღმოფხვრისათვის, მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღებისათვის;

ბელადის მოხსენება გადაიქცა ღრმა სტიმულად სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლისათვის. ჩამოყალიბდა მთელი რიგი ახალი დამკვრელი ბრიგადები. დაწესებულია მე-17 პარტყრილობის გარდამავალი დროშა გამარჯვებულ დამკვრელი ბრიგადის დასაჯილდოებლად.

ცალკე პარტიულმა და კომკავშირის უჯრედებმა გამოუშვეს კედლის გაზეთის სპეციალური ნომრები, მიძღვნილი მე-17 პარტყრილობისადმი.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტი მედგრად იბრძოლებს საყვარელი ბელადის მითითებათა შესასრულებლად, მარქსისტულ - ლენინური თეორიით შეიარაღებულ მაღალკვალიფიციური კადრების აღსაზრდელად.

ვ. ტულუში.

ავსტრიის გმირული პროლეტარიატის დასახმარებლად

უნივერსიტეტის სტუდენტობა და პროფესორ-ლექტორები, რომლებმაც სასტიკი პროტესტი განაცხადეს ავსტრიის ფაშიზმის მხეცური ტერორის წინააღმდეგ, მხურვალედ გამოეხმაურნენ ავსტრიის გმირული პროლეტარიატის დახმარების საქმეს. რემედიოს ადგილობრივმა კომიტეტმა ორი დღის განმავლობაში ავსტრიის მუშების დასახმარებლად შეკრიბა 550 მანეთი, თანხების შეგროვება გრძელდება.

ვიწყებთ ბოლშევიკურ ბრძოლას სამეცადინო დღის სრულად დატვირთვისათვის

ამხ. ორჯონიკიძემ საკ. კ. პ. (ბ) XVII ყრილობაზე მთელი სიგრძე-სიგანით დასვა სამუშაო დროს მაქსიმალურად დატვირთვის, მთელი 420 სამუშაო წუთის განმავლობაში ნაყოფიერად მუშაობის საკითხი. საბჭოთა კავშირი არის ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა, მაგრამ ჯერ კიდევ მრავალ შემთხვევებში ვერ მიგვიღწევია იმისათვის, რომ ეს მოკლე სამუშაო დღე სრულის ნაყოფიერებით გამოვიყენოთ. ამხ. ორჯონიკიძემ ჩვენი საწარმოების წინაშე გადაუდებელ ამოცანად დააყენა ბოლშევიკური ბრძოლა სამუშაო დღის ორგანიზაციისათვის ისე, რომ უქმად არ დაიკარგოს არც ერთი წუთი, ბრძოლა იმისათვის, რომ სამუშაო დღე იყოს სრულფასიანი, თავიდან ბოლომდე ნაყოფიერი.

ამხ. ს. ორჯონიკიძის ამ მოწოდებამ მხურვალე გამოძახილი ჰპოვა ყველგან. ტფილისში პირველად მას გამოეხმაურა სტალინის რაიონი, რომელმაც სტალინის სახელობის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში მოაწყო კონფერენცია სამუშაო დღის შემჭიდროების საკითხებზე.

არ შეიძლება საწარმოების გამოცდილების მექანიკურად გადატანა სასწავლებლებში, მაგრამ ჩვენ უსათუოდ უნდა გამოვიყენოთ მოწინავე საწარმოთა გამოცდილება სასწავლებლების სპეციფიურ პირობებთან შეფარდებით.

საჭიროა თუ არა ამ საკითხის დასმა ჩვენთან? იკარგება თუ არა სამეცადინო წუთები, სრულიად ვიყენებთ თუ არა ჩვენს სამუშაო დროს —270 სამეცადინო წუთს?

რამდენიმე ციფრი და პასუხი ამ კითხვაზე ნათელი იქნება.

სამი დღის განმავლობაში ჩვენი უნივერსიტეტის სხვადასხვა ჯგუფებში ტარდებოდა ზუსტი აღრიცხვა ლექტორების გამოცხადებისა ლექციებზე, მათი წასვლის, იმის, თუ რამდენი წუთი მიაქვს მუსაიფს საკითხებზე, რომელთაც ლექცია—მეცადინეობის საგანთან არაფერი საერთო აქვს. ამ ფოტოგრაფიის შედეგად ირკვევა, რომ სამეცადინო დროის მინიმუმ 15% (ზოგჯერ კი 25%) იკარგება პროფესორ-ლექტორების დაგვიანების ან ლექცია-მეცადინეობიდან ადრე წასვლის გამო ანდა მეცადინეობის საგანთან ყოველგვარ კავშირს მოკლებულ თემაზე საუბარით.

ჩვენ გვყავს 96 ჯგუფი, ე. ი. დღეში წაკითხულ უნდა იქნას 576 სალექციო საათი, 15% დანაკარგი შეადგენს 85 საათს, თვეში 2040 სალექციო საათზე. სტუდენტის რიცხვზე გადატანით დღეში იკარგება 4.340 სტუდ-საათი, თვეში—104.140.

ყველაფერი ეს აღნიშნა თავის მოხსენებაში პროფესორ - პედაგოგიური და ადმინისტრატიულ-ტექნიკური პერსონალის და სტუდენტთა კონფერენციაზე (აწ. 17 თებერვალს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის მდივანმა **ამხ. სევერიან მინდაძემ,** რომელმაც მოიწოდა უნივერსიტეტის ყველა მუშაკებს სასტიკი ბრძოლა გამოუცხადონ დროის ასაშფოფრენგვლობას, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტმა, რომელსაც თავისი არსებობის ერთი წლის მანძილზე ბოლშევიკური მუშაობის მთელი რიგი ნიმუშები აქვს მიცემული, „რაც აღნიშნულია ზემდგომ ორგანოების დადგენილებებში, აქაც მოიპოვოს პირველობა და წამყვანი როლი ითამაშოს.

სასწავლო ნაწილის გამგემ **ამხ. კ. ჭკუასელმა** კონფერენციას გააცნო სხვადასხვა ჯგუფებში სამეცადინო დროის გამოყენების სახელდახელო შემოწმების შედეგები. ეს შედეგები მოწმობენ, რომ ყოველდღიურად სხვადასხვა მიზეზით — ლექტორთა სრულიად არმოსვლის, დაგვიანებით მოსვლის და ადრე წასვლის ან კერძო საკითხებზე მუსაიფის გამო უქმად იკარგება ათასეული ძვირფასი წუთი.

აი რას გვიჩვენებს ერთ დღის შემოწმების ფოტოგრაფიული სურათი.

ისტორიულ ლიტერატურულ ფაკულტეტზე ჩამოსენებულ მიზეზების გამო გაცდენილია 481 სამეცადინო წუთი 1646-დან (29,22%), **სამართლის ფაკულტეტზე** — 374 წუთი 1815-დან (20,60%), **საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე** — 257 წუთი 2175-დან (11,81%), **ეკონომიურზე**—640 წუთი 8756-დან (7,3%), **ფიზიკო - მათემატიკურზე** — 80 წუთი 1828 წუთიდან (4,36%), **ახმირანტურის ინსტიტუტში**—43 წუთი 330 წუთიდან (13%). ამრიგად სულ გაცდენილია 1644 წუთი 16069 სამეცადინო წუთიდან (10,23%).

როგორც ვხედავთ ციფრები მეტად დამაფიქრებელია, მით უფრო, რომ ეს არ არის ერთი დღის მოვლენა, არამედ რამდენიმე დღის დაკვირვება ამტკიცებს, რომ დროის ასეთ ფლანგვას აქვს სისტემატიური ხასიათი, რომ ყოველდღიურად მეორდება ამგვარი სურათი.

საგულისხმოა ის გარემება, რომ უმეტეს შემთხვევებში დაგვიანებანი მოდის ერთსა და იმავე ლექტორებზე, რაც მოწმობს ამ ამხანაგების თვითდისციპლინის უქონლობას, დროის გამოყენების შეუფასებლობას. სამეცადინო დრო კი,—ამბობს ამხ. ჭკუასელი,—უნდა შევაფასოთ, როგორც სოციალისტური საკუთრება, ვინაიდან თითეულ წუთი ფული უჯდება ჩვენს სახელმწიფოს, ძვირფასია ჩვენთვის, მისი გაცდენა ან უნაყოფოდ გამოყენება, როგორც სოციალისტური საკუთრების გაფლანგვა - განიავება და ამ მოვლენას უნდა შევებრძოლოთ მთელი სისასტიკით.

არც ჩვენი ტეხნიკური პერსონალი დგას ამ მხრივ მოწოდების სიმაღლეზე. ამხ. ჭკუასელი კითხულობს სიას თანამშრომლებისას, რომლებიც სისტემატიურად იგვიანებენ სამსახურში—ყიფიანი ვარლამ, ვუჩანოვა ანა, არჩეაძე ნიკოლოზ,ნანავა ირიდიონ, ბაქრაძე გრიგოლ, ცისკარიშვილი მარიამი და მთელი რიგი სხვები დღე არ გაივლის რომ არ დაიგვიანონ.

ამ მდგომარეობას ბოლო უნდა მოეღოს. ჩვენი ლოზუნგი და **საბრძოლო ამოცანა უნდა გახდეს—სწავლების მაღალი ხარისხი პლიუს სამეცადინო დროის მაქსიმალურად და ნაყოფიერად გამოყენება.**

სიტყვით გამოსული ამხანაგები—პროფ. **კ. ბაქრაძე, მ. გოგიბერიძე, ბ. რამიშვილი** და სხვ. აღნიშნავდენ, რომ ის, რაზედაც ილაპარაკეს ამხ. მინდაძემ და კ. ჭკუასელმა—სამეცადინო დროის მაქსიმალურად და რაციონალურად გამოყენება — არის ელემენტარული მოთხოვნილება, საგალდებულო თითეული პატიოსანი საბჭოთა მუშაკისათვის. მართალია, არის ძალი რიგი ხელისშემშლელი ე. წ. „ობიექტიური მიზეზები“, მაგრამ მთავარია არა ეს, არამედ თვით დისციპლინის უქონლობა, თვითდაუოკებლობა, რაც ხელს უშლის ბევრს ჩვენგანს იყოს ბოლშეიკური ეს — საკუთარ ტდ-ციპლინის დაძლევა. [illegible] გაცლა ... [illegible] — [illegible] ... [illegible] იქცეს თითეული პროფესორ-ლექტორის გადაუდებელ ამოცანად, რომ მათ შეასრულონ ის ელემენტარული მოთხოვნილება, რომელსაც სახელმწიფო და კადრების აღზრდის ამოცანები უყენებს მათ.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღმოიფხვრას ის „წვრილმანები“, რომლებიც თვალსაჩინო როლს თამაშობენ დროის უნაყოფოდ ხარჯვაში. ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ იმას, რომ პროფესორ-ლექტორს საძებარი არ ჰქონდეს ცარცი და ჩვარი, ზოგ აუდიტორიებში არ არის მაგიდა ლექტორისათვის, უნივერსიტეტის ორ კორპუსში საათების ჩვენება განსხვავდება, ზარის ხმა საპროფესორო-ში არ აღწევს და სხვ. ეს „წვრილმანები“ საერთო ჯამით სერიოზულ დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენენ მეცადინეობის ნაყოფიერების საქმეში და ისინი ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღმოვფხვრათ.

უკანასკნელად სიტყვით გამოსულ მა **ამხ. ჯანელიძემ** აღნიშნა, რომ არ არსებობს ორი აზრი სამეცადინო დროის მაქსიმალურად და ნაყოფიერად გამოყენების აუცილებლობის საკითხში.

როცა პარტიული კომიტეტი აყენებდა ამ საკითხს, დარწმუნებული იყო, რომ პროფესორ-ლექტორთა შემადგენლობა, მთელი ადმინისტრატიულ-ტეხნიკური პერსონალი მხურვალედ გამოეხმაურებოდა მას და იბრძოლებდა დროის შემჭიდროებისათვის, ძვირფასი სამუშაო წუთების ფლანგვის წინააღმდეგ.

ჩვენ არ ვაფეტიშებთ დროს, აქ არ არის წუთების რაოდენობის გაოდევნება, რადგან უდავოა, რომ ერთსაათიანი შინაარსიანი ლექცია სჯობს ორსაათიან წყალ-წყალა საუბარს. **ჩვენ მოვითხოვთ, რომ 270 სამეცადინო წუთი თავიდან ბოლომდე იყოს დატვირთული, სრულფასიანი და შინაარსიანი.** ამ ამოცანას ჩვენ შევასრულებთ და მოვიპოვებთ მორიგ გამარჯვებას ისე, როგორც მრავალჯერ მოგვიპოვებია წარსულში.

ამხ. ჯანელიძის სიტყვის შემდეგ ამხ. **შ. სიხარულიძემ** წაიკითხა შიმართვა ყველა პროფესორ-ლექტორებისა და ადმინისტრატიულ - ტეხნიკურ მუშაკებისადმი, რომელიც ერთ ხმად იქნა მიღებული.

ტფ. უნივერსიტეტის პროფესორ-ლექტორებისა მიმართვა საქ. უმაღლესი სწავლებლების პროფესორ-ლექტორებს

„შრომის ნაყოფიერება საბოლოო ანგარიშით, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ყველაზე ძლიერი, ყველაზე ძლიერ მშენელობა ... [illegible] ... ბილების გამარჯვებისათვის“ — გკასწავლიდა პროლეტარიატის ბელადი **ლენინი.**

პარტია, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, — ლენინის საუკეთესო მოწაფის, მსოფლიო პროლეტარიატის საყვარელი ბელადის ამხ. **სტალინის** ხელმძღვანელობით გაეუხრელად ახორციელებს **ლენინის** ანდერძს შრომის ნაყოფიერების გადიდების შესახებ.

პარტია და ხელისუფლება ჩვენს წინაშე აყენებს მეცნიერების და ტექნიკის საფუძვლების ცოდნით შეიარაღებული ახალი სპეციალისტის მომზადებას, **სპეციალისტის მომზადების მაღალი ხარისხის** ამოცანას. ეს არის მთავარი ჩვენს მუშაობაში. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ისეთი კადრების მომზადება, რომელთაც შეეძლებათ ათითვისონ ახალი ტექნიკა, დაეპყრონ მეცნიერებისა **და ტექნიკის** ციხესიმაგრეები.

სპეციალისტების მომზადების მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის ერთერთი **შემადგენელი** ელემენტია — სასწავლო დღის რაციონალური გამოყენება, ამ მხრივ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებში ყველაფერი რიგზე არ არის.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტორგანიზაციამ შეიტანა სასწავლო დღის გამოყენების მდგომარეობა. ამ შესწავლიდან გამოირკვა, რომ სასწავლო დღის დაახლოებით 15 პროც. უნაყოფოდ იკარგება, გამოირკვა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ არ არის გამტკიცებული, ახალი სოციალისტური შრომითი დისციპლინა, რომ ჩვენ ვერ ვმუშაობთ სრული დატვირთვით, სრულ 270 წუთს სასწავლო

მეორე სემესტრში გავუმალოთ ბოლშევიკური ბრძოლა

პირველი სემესტრის ყველა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, მუშაობის მაღალი ხარისხისათვის

ჩვენი საუკეთესო დამკვრელები

შ. კალანდარიშვილი

სანიმუშო წარმატებისათვის აკადემიურ მუშაობაში ჩარიცხულია უმცროს სამეცნიერო მუშაკად საქ. ისტორიის კათედრასთან, ლაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით და საბჭოთა კავშირში ერთთვიანი მივლინებით

ხ. ბერაძე

საუკეთესო დამკვრელი, აკადემიურ და საზ. საქმიანობაში, დაჯილდოებულია სამოწვლო საქონლით და ლიტერატურით.

ამხ. ალ. ურუშაძე

აკადემიურ წარჩინებისათვის და აქტიური მუშაობისათვის დაჯილდოებულია ერთი თვით კურორტზე გაგზავნით

გრ. ბაბალიერაშვილი

დამკვრელი სტუდენტი, ფილოსოფიური სექციის მესამე კურსი დაჯილდოებულია ლიტერატურით

ამხ. ხუსეინ კირისი-ოღლი

პარტკომის კადრების სექტორის გამგე დამკვრელი სტუდენტი, დაჯილდოებულია ერთი თვით კურორტზე მივლინებით

შ. მაჩოიძე

(პარტკომის შესრულებ.-მემოუმების სექტორის გამგე)

დამკვრ. სტუდენტი, დაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით



ამხ. ვალოდია კაკაბაძე

საბუნებისმეტყველო ფაკ-ტის პარტუჯრედის პ.-მგ. მდივანი. დამკვრელი სტუდენტი დაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით.

მეორე სემესტრი უნაკლოთ უნდა ჩავატაროთ

(საბუნებისმეტყველო ფაკულტეტი)

როგორია პირველი სემესტრის შედეგები საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე?— ეს საკითხს კომუჯრედის გაერთიანებულ სხდომაზე კომკავშირთან, პედაგოგიურ პერსონალთან და სტუდენტთა უპარტიო აქტივთან ერთად მოსწავლეებ ჯაჯანეთ ფაკულტეტის დეკანმა ამხ. კ. ანდრიაძემ.

— პირველი სემესტრის სასწავლო პლანი შესრულებულია 102 პროცენტით. გვაქვს მიღწევები დისციპლინის განმტკიცების მხრივ: გაუდღენები და დაგვიანება მინიმუმამდე იქნა დაყვანილი. ფართოდ იყო გაშლილი ბრძოლა სკავლების მაღალი ხარისხისათვის. სტუდენტზე საგაში საშუალოდ მოდის 3,6. პარტიის წევრები და კომკავშირელები შედგრად იბრძოდნენ ავანგარდული როლისათვის სწავლებაში. პარტიის წევრ-კანდიდატებზე საგაში საშუალოდ მოდის 3,7 და კომკავშირელებზე — 3,4 ფართოდ იყო გაშლილი დამკვრელობა და სოციალისტური შეჯიბრება სტუდენტებსა და დამკვრელებს შორის.

საუკეთესო მოშაობის მაგალითს იძლევიან—ცხოველთა ფიზიოლოგიის კათედრა პროფ. ი. ბერიტაშვილის, გეოლოგიის კათედრა—პროფ. ა. ჯანელიძის, ბოტანიკის კათედრა—დოც. ნ. კეცხოველის მეთაურობით, ლექტორები ქს. ცხაკაია, არ. ჯანაშვილი, ფაკულტეტზე აოის 226 დამკვრელი. 20 სტუდენტი დამკვრელობის შედეგების გადაჭარბებით შესრულებისათვის დასაჯილდოებლად არის წარდგენილი.

ამ მიღწევებთან ერთად ფაკულტეტს აქვს მთელი რიგი ნაკლოვანებები:

— სუსტად მიმდინარეობდა სტუდენტთა ცოდნის სისტემატიური აღრიცხვა, როგორც სასესია, ისე არასასესიო საგნებში

— ზოგიერთი ლექტორები სათანადო ენერგიით არ იბრძვიან სასწავლო გეგმების შესრულებისაკენ.

— ვერ არის სათანადოთ მოწყობილი და მომზადებული რაოდენობითი და ანალიზური ქიმიის ლაბორატორიები.

— მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი პროგრამები საუძვლიანად იქნა გაკრიტიკებული, ბევრი მათგანი ჯერაც არ არის გადამუშავებული.

— საწარმოო პრაქტიკის გეგმები ვერ არის სათანადოთ შედგენილი და სხვ.

იყალა ეს ნაკლოვანებები უნდა აღმოკფხვრათ მეორე სემესტრში.

ამ მიზნით გაერთიანებულმა კრებამ დასახა შემდეგი ღონისძიებები:

1. ფაკულტეტი ყურადღების ცენტრი დაიყენებს სასწავლო საწარმოო გეგმების 100 პროცენტით შესრულებისათვის ბრძოლის საკითხს.

2. განვამტკიცებთ შრომის დისციპლინას, მინიმუმამდე დავიყვანთ გაცდენებ-დაგვიანებას, როგორც ლექტორების მხრივ ისე სტუდენტობის მიერ.

3. ვიბრძოლებთ ფაკულტეტზე სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის. პირველ სემესტრში მიღწეულ თითეულ საგაში საშუალო ნიშანს 3,6 ავიყვანთ 4-დე.

4. განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ლაბორატორიების სათანადოთ მოწყობას და საჭირო ინვენტარებით და ბალეზეთით მომარაგებას.

5. აკადემიურ წარმატების სისტემატიურ აღრიცხვას და გეგმების შესრულებას შევამოწმებთ ყოველთვიურად.

6. მოვახდენთ საწარმოო პრაქტიკის ამჟამად არსებულ გეგმას გადასინჯვას კათედრებთან წინასწარ შეთანხმებით.

7. მოვახდენთ სოციშეჯიბრეობაში და დამკვრელობაში ჩაბმულთა შემოწმებას სისტემატიურად და გამოვიყენებთ წითელ და შავ დაფას.

8. ავლრიცხავთ ჩამორჩენილ სტუდენტებს და მივამაგრებთ აკადემიურად ძლიერს დამკვრელ სტუდენტებს, საჭიროებისამებრ ლექტორებსაც.

9. გავშლით და გავაძლიერებთ სამეცნიერო წრეების მუშაობას.

ამ ამოცანების შესრულებისათვის უნდა დაირაზმოს მთელი სტუდენტობა და პროფესორ-ლექტორები.

ბრ. აბაშელიძე, ლ. კუტუბიძე.

ნამდვილად დავ. უვანოთ პროგრამეგი თვითეულ სტუდენტამდე

სტუდენტებისათვის საჭირო პროგრამების ბეჭდვა მიმდინარე წელს შედარებით მოგვარებულია. უკვე ასზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების პროგრამა აქვს გადაცემული გასავრცელებლად კიოსკს, მაგრამ ამ პროგრამების თითეულ სტუდენტამდე დაყვანის საქმე ვერ არის სანუგეშო მდგომარეობაშია. არის პროგრამები, რომელთაგან სტუდენტებს ერთი ცალიც არა აქვთ წაღებული. ეს არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მიეწეროს პროგრამების სიძვირეს, ვინაიდან რედაქტორების განკარგულებით **მთელი რიგი პროგრამები თვითღირებულებაზე დაბალ ფასებში იყიდება, რომ ისინი მისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის.**

არ კმარა მარტო პროგრამების დაბეჭდვა. საჭიროა თვალყურის დევნება იმისთვის, რომ პროგრამები ნამდვილად იყვეს დაყვანილი თვითეულ სტუდენტამდე. ეს არის მოვალეობა ყველასი —დაწყებული სასწავლო ნაწილით, ფაკულტეტით, კათედრით და გათავებული ჯგუფის სამკუთხედით.

თითეული სტუდენტი უნდა იცნობდეს პროგრამას ყველა დისციპლინაში, რომელსაც ის გადის. ამის გარეშე ვერ იქნება ნაყოფიერი მისი ბრძოლა აკადემიური წარმატებისათვის.

კომკავშირმა უნდა ითავოს მოწყობა საზოგადოებრივი კონ-ტროლისა პროგრამების დაყვანაზე [illegible] სტუდენტამდე, იმის შემოწმებაზე — მომარაგებულია თუ არა თითეული სტუდენტი მისთვის საჭირო პროგრამებით.

ალფა.

პირველი სემესტრის შედეგები

სამართლის ფაკულტეტზე

მთელ რიგ ზომების მიუხედავად ჩვენი ფაკულტეტი პირველი სემესტრის სესიების წინ გარღვევის საფრთხის წინაშე იდგა. 25 ნოემბრისათვის პირველი სემესტრის გეგმა შეასრულებული იყო მხოლოდ 84 პროცენტით.

გარღვევის ასაცილებლად თავიდან პარტიულია ორგანიზაციამ დეკანატთან ერთად გადამკვრელი ზომები მიიღო ინდივიდუალურობის გამოსასწორებლად. ფაკულტეტმა ბოლშევიკური მუშაობა გაშალა უნივერსიტეტის მიერ XVII პარტყრილობასთან დაკავშირებით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად და დამკვრელი თვის (დეკემბრის) წარმატებით ჩასატარებლად პროფესორ ლექტორებთან შეთანხმებით ჩაეორჩინეს სალექციოდაციოდ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული მთელი თავისუფალი დრო. პროფესორ-ლექტორების მიერ დამატებით იქნა წაკითხული 456 საათი და აქედან საისებით იქნა აღმოფხვრილი ჩამორჩენა. სასწავლო გეგმა შესრულებული იქნა 100,2 პროცენტით.

ასევე იქნა გამოსწორებული მდგომარეობა დისციპლინის მხრივ. პირველ ნოემბრამდე საპატიო მიზეზის გარეშე სტუდენტთა მიერ გაცდენილი ლექციათ - საათები შეადგენდნენ 3. 7%-ს ნოემბერში ეს პროცენტი შეჯიბრებულ იქნა 2,2%-დე, პირველი ინვერსიათვის — 1,2%. მიგაღწიეთ იმას სასტიკი ბრძოლით უდისციპლინოობასთან აბსენეაგური ზეგავლენის ზომებით და სხვ

სესიებისათვის ფაკულტეტმა გაშალა ენერგიული მუშაობა. თავთოდ გაიშალა მუშაობის სოციალისტური ფორმები სოციალისტური შეჯიბრება, საზოგადოებრივი ბიუქსირი. დაკვრელობა. სტუდენტთა საშუალო ნიშანი სასესიო საგნებში — 3,93, აოი სასესიოში — 3 7.

წარსულ წელთან შედარებით პარტკომკავშირის ავანგარდული როლი თვალსაჩინოდ გაიზარდა.

პარტიის წევრები — ნიკო ლომსაძე, ჭირიან მამალაძე, გ. დემეტრაშვილი, ალექსანდრე დოლიძე, ტოსია ჯაფარიძე და სხვ. საუკეთესო მაჩვენებლები იძლევიან, როგორც აკადემიურ, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში.

საუკეთესო ბრიან ჯგუფები — №43 (პარტოოგი — კოტრიკაძე), №41 (პარტოოგი — შ. ციხლაძე), №44 (ა) (პარტოოგი — ლომსაძე); ჩამორჩენილია ჯგ. №40 (პარტოოგი — რეხვიაშვილი) და №44 (ბ) ჯგუფები, რომლებიც შეტანილი არიან შიგ დაფაზე.

მტკივნეული საკითხია სტუდენტთა სისტემატიური შესწავლა. ზოგიერთი ლექტორი ამ საქმეს არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას, ამის გამო ზოგიერთ ლექტორმა (ამხ. ყალიჩავა, კომახიძე, ბერძენიშვილი და სხვ.) რომ წარმოდგენა ჰქონოდათ სტუდენტზე, არასასესიო საკნებიც სინამდვილეში სასესიოდ გადაქციეს. ასეთ მოვლენას მეორე სემესტრში აღარ უნდა ექნეს ადგილი. სტუდენტი შესწავლილი უნდა იქნას სწავლების მთელ პროცესში.

საჭირო დრო გავიდა, რაც პარტორგანიზაციამ დასახა მთელი რიგი ღონისძიებები კათედრების მუშაობის გარდასაქმნელად. მაგრამ დეკანატი ამ საქმეს ვერ მიუდგა როგორც საჭიროა და ჯერ კიდევ გარდატეხას ვერ ვხედავთ.

ჯეროვანი ყურადღება ექცეოდა იდეოლოგიურ ფრონტს. შემოწმებულ იქნა მთელი რიგი პროგრამები, რომლებიც [illegible] აუმჯობესებად გადაეცა კათედრებს.

მაგრამ საქართველოს დარგში გაბატონებული ლიტერატურის გადასასინჯავად გამოყოფილ ბრიგადებს ჯერ არაფერი გაუკეთებიათ.

საჭიროა გამოყოფილ ამხანაგებს გაახსენონ მათი მოვალეობა.

ა. ბუაჩიძე

კიდევ უფრო გავშლით ბრძოლას

სასწავლო გეგმების შესრულებისათვის

(ეკ. ფაკულტეტის საალრიცხვო სექცია)

ეკ. ფაკულტეტის დეკანის თანაშეწის ამხ. ბირიანაშვილის და საალმშენებლო სექციის კომკავშირის უჯრედის მდივნის ამხ. ჩარხიანის მოხსენებებმა სექციის კომუჯრედში და აგრეთვე კამათმა ამ მოხსენებების გარშემო ნათელჰყვეს, რომ სექციამ პირველი სემესტრი მნიშვნელოვანი მიღწევებით დაამთავრა: წარმატებით იქნა ჩატარებული დამკვრელი ერთთვიური, დასტებითი ლექციების და კონსულტაციების მოწყობა, კარგად გაიშალა ბრძოლა გაცდენებთან და სხვ. დიდი ყურადღება ეთმობოდა სწავლის ხარისხს და ამ საქმეში კომკავშირელთა როლის ამაღლებას. ამის შედეგად, სემესტრის ბოლოს, კომკავშირელთა საშუალო ნიშანი სასესიო საგნებში უდრის 3,7 და არასასესიო — 3,5.

მაგრამ ყველა ჯგუფებში ერთნაირის წარმატებებით ვერ გაიშალა ბრძოლა სემესტრის ნაყოფიერად დამთავრებისათვის, რასაც მოწმობს კომკავშირელთა საშუალო ნიშნები. მაგ. 1-ლი კურსის 4ა ჯგუფში — 3,3. 1-ლი კურსი 4ბ ჯგუფში — 3,2. ამ ჯგუფებში კომკავშირელთა დისციპლინაც თვალსაჩინოდ მოიკრეფს. მათ მიერ გაცდენილი საათები შედარებით დიდია.

სოციშეჯიბრეობაში სექციაზე კომკავშირელები თითქმის 100 პროცენტიანენ ჩაბმული. დამკვრელებია 55. დამკვრელობა-სოციშეჯიბრების ვალდებულებები დაახლოებით 93 პროცენტის შესრულებული.

პირველი სემესტრის წარმატებით ჩატარებას თვალსაჩინოდ შეუწყო ხელი პროფესორ-ლექტორთა ენერგიულმა მუშაობამ, მათ მიერ დამატებითი საათების მიცემამ და კონსულტაციების გამართვამ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, ამხ. შ. ქორიძის, ამხ. სანიკიძის, ამხ. გადაიობაძის მუშაობა.

ერთიან საკავშირო დღეს სექციის კომკავშირის ორგანიზაციამ აიღო მთელი რიგი ვალდებულებები მეორე სემესტრის კიდევ მეტის წარმატებით ჩასატარებლად: საპატიო მიზეზის გარეშე ლექციების გაცდენა-დაგვიანების სრულიად აღმოფხვრა, სოციშეჯიბრეობის - დამკვრელობის უფრო ფართოდ გაშლა და ბრძოლა ვალდებულებათა შესრულების მაღალი რაოდენობითი და ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის, ბრძოლა 270 წუთის ნაყოფიერად და შინაარსიანად დატვირთვისათვის ყოველდღიურად.

ნ. დუშუაშვილი.

„დამკვრელი“ დ გვიანეგაში

(სამართლის ფაკულტეტი. № 42 ჯგუფი).

ჩვენი ჯგუფის სტუდენტს ბენია გეგიაძეს თავი დამკვრელად მოაქვს. ის უსათუოდ „დამკვრელია“ მხოლოდ ლექციებზე სისტემატიურ დაგვიანებაში.

ამ რამდენიმე დღის წინად მან დასტოვა ლექცია და ჩვენს კლუბში გამართულ კონცერტზე წავიდა.

გეგიაძეს ლექციებზე დაგვიანებაში და ლექციების გაცდენაში მხარს უმშვენებს მისი გულითადი მეგობარი მიქაძე.

საჭიროა ჯგუფის სამკუთხედმა ბოლო მოუღოს ამ უდისციპლინობას და აგრეთვე ძირშივე აღკვეთოს დამკვრელის სახელის შეურაცყოფა ისეთი ცრუდამკვრელების მიერ, როგორიც გეგიაძეა.

ხვირელი.

შეუდეკით მეორე სემესტრის გეგმეგისათვის ბრძოლას

ჩვენი ჯგუფი № 81 (სახ. ფაკ. გეოლოგიური სპეციალობის მესამე კურსი) 30 კაცისაგან შედგება.

უმაღლესი სასწავლებლების შეჯიბრებაში ჩაბმასთან დაკავშირებით ჯგუფმა მიიღო მთელი რიგი ვალდებულებები შეჯიბრების პირობების შესასრულებლად და ბედგოდ იბრძვის ამ ვალდებულებათა შესრულებისათვის. სოციშეჯიბრებაში ჯერ-ჯერობით ჩაბმულია 15 კაცი, გვყავს 12 დამკვრელი. პირველი სემესტრის შედეგების შემოწმებამ ნათელჰყო, რომ ყველა დამკვრელებმა თავიანთი ვალდებულებები შეასრულეს. ნიშნების შეჯამება ასეთ სურათს იძლევა: 38 პროც.—ფრიადი, 21 პროც.—კარგი და 25 პროც. დაბალკმაყოფილებელი.

ჯგუფს ჰყავს მთელი რიგი ძოწინავე სტუდენტები—ჰ. ჯაფარიძე, დ. მაკფორია, შ. ჩუბინიძე, გ. ლომთათიძე, ნ. სხირტლაძე; მ. ფოფხაძე და სხვ.; რომლებიც საზოგად. მუშაობაშიც აქტივობენ.

მიღებულია ღონისძიებები ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის ძე-2 სემესტრში, რისთვისაც გაიშალა ფართო მუშაობა.

ლექციების გამცდენ სტუდენტთა მიმართ მიღებულია ზეგავლენის ზომები.

ტ. ჩიჩუა.

ჩვენი საუკეთესო დამკვრელები

კ. ბარამელია

(აღმასბიუროს თავმჯდომარე)

აკადემიურად წარჩინებული, აქტიური მუშაკი; დაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით და საბჭოთა კავშირში ერთთვიანი მივლინებით

ჰ. კეკელიძე

(ოსტ-ლიტ. ფაკულტეტის პროფკომის თავ-რე)

დამკვრელი სტუდენტი, დაჯილდოებულია ერთი თვით სანატორიუმში გაგზავნით

ამხ. დ. მეგრაძელიშვილი

საუკეთესო დამკვრელი, დაჯილდოებულია ერთი თვით სანატორიუმში გაგზავნით

ამხ. ბ. [illegible]

(აღმასბიუროს სარგანიზაციო განყ. გამგე)

აკადემიურად წა[illegible]ული, აქტ. საზ. მუშაობა დაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით და საბჭოთა კავშირში ერთთვიან მივლინებით

ვ. ბაბუნია

დამკვრელი სტ. დაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით

ამხ. კ. ბაბილოძე

(ეკონომ. ფაკ-ის პარტუჯრედის მდივანი)

აკადემიურად წარჩინებული, საზოგ. მუშაობაში აქტიური დაჯილდოებულია ერთი თვის სტიპენდიით

დ. ი. მენდელეევი და თანამედროვეობა

(1834 9/II 1934)

წარსული საუკუნის მეორე ნახევრის უდიდეს ქიმიკოსებს შორის, რომლებმა, გზა გაუკაფეს ქიმიის ბუმბერაზულ წინსვლა-განვითარებას, დმიტრი ივანეს ძე მენდელეევი განსაკუთრებით გამოიყოფება თავისი სიდიადით და დატოვებული მეცნიერული მემკვიდრეობის სიმდიდრით. ქიმიკოსებსა და ფიზიკოსებს ჯერაც დავა აქვთ იმის შესახებ, თუ რა უფრო მეტი იყო მენდელეევ—ქიმიკოსი, თუ ფიზიკოსი, ადგენენ სპეციალურ ცხრილებს და დიაგრამებს იმის ნათელსაყოფად, თუ რომელ—ფიზიკასა, თუ ქიმიას უჭირავს ჭიტა ხვედრითი წონა დ. ი. მენდელეევის მეცნიერულ შემოქმედებაში—იმდენად ღრმა და მრავალმხრივი იყო ეხლანდელი მდგომარეობა მეცნიერების ორივე ამ დარგში—ორგანული ქიმიის კურსი „ქიმიის საფუძვლები“, მუშაობა აირებზე და ხსნარებზე, „სითხეთა წონადობა და ფრენობა“, სიმძიმის ძალის აბსოლუტური დაბალუოლობის გაზომვის ცდები, ზუსტი აწონვის ხერხების შემოშავება, შრომები ელემენტების ატომურ-ქიმიურ თვისებებსა და ამ ელემენტებისა და ნაერთების სიმდიდრეთა შესწავლა და მათი გამოყენების გზების დასახვა, მსოფლიო ეთეროვანებების ქიმიური დასაბუთების ეკვა რუსეთში უკვამლო დენის დამზადების რაციონალური ხერხების გამომუშავება, [illegible] ბრძოლა სხვა და, მათ შორის, როგორც უკვდავი—სამარადისო ძეგლი—ელემენტთა პერიოდული კანონი, რომლის აღმოჩენამ მსოფლიო სახელი მოუხვეა მენდელეევს, კანონი, რომელმაც პროეექტორივით განათა ფიზიკა-ქიმიის ბნელი კუნჭულები და შეიქმნა ქვაკუთხედათ ფიზიკოს-ქიმიკოსების შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის. უდიდესი მნიშვნელობის შრომები აქვს დ. ი. მენდელეევს, მაგრამ სწორედ პერიოდული კანონის აღმოჩენა ამაღლებს მას არა მარტო მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის სახელოვან ქიმიკოსთა შორის, არამედ თანამედროვეთა შორისაც. გადაჭარბებული არ იქნება, თუ კიტყვით, რომ თეორეტიული ქიმიის მთელი განვითარება 1870 წლის შემდეგ მამდინარეობს პერიოდული კანონის ნიშნის ქვეშ, რომ ეეორეტიული ქიმიის ყოველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი წინ მეიდროდ არის დაკავშირებული პერიოდულ კანონთან, გაშუქებულია მისი სხიეობით.

ქიმიკოსთა ბრწყინვალე პლეადამ, დაწყებული დალტონიდან უამრავი მასალები დაგროვა ელემენტთა ატომურობის გამორკვევის, ელემენტთა ვალენტოვნების ქიმიური თვისებების და სხვ. შესახებ.

საჭირო იყო, რაღაც განმაზოგადოებელი კანონი, რომელიც ითობამად გაკაფავდა გზას ამ უამრავი ფაქტების ლაბირინტში საჭირო იყო გამონახვა რაღაც საერთოსი, ელემენტების რაღაც ისეთი თვისებისა რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა შემდგომი ეაყოთიერი მუშაობა.

1829 წ. დებერეინერმა საფუძველი ჩაუყარა ელემენტების დაჯგუფებას ქიმიური თვისებების მსგავსებათა მიხედვით (დებერეინერის ტრიადები). 1860 წელს შანკურტუამ ელემენტა თვისებები პირველად კაუბედავო დაუკავშირა ილემენტთა ატომურნას. 1863 წ. ჯ. ნიულენდსი ქმნის თავის ცნობილ ოქტავებს: ალაგებს ელემენტებს რვა-რვაა რიგში. ამის შემდეგ ჩეკგაქის ოდლიფის და სხვ. შრომები, მაგრამ ყველა ისინი მხოლოდ გაუბედავ ცდებს წარმოადგენენ პერიოდული კანონის აღმოჩენის გზაზე.

მხოლოდ 1868 წელს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად პერიოდული კანონი აღმოაჩინეს ლოტარ მიერმა და დ. ი. მენდელეევმა: ელემენტთა თვისებები წარმოადგენენ ატომურობის ფუნქციას—აი ამ კანონის დადგა ეზრი.



მაგრამ დ. ი. მენდელეევის პრიმატი პერიოდული სისტემის შექმნაში მდგომარეობს იმაში, რომ მან არა მარტო აღმოაჩინა პერიოდული კანონი, არამედ ელემენტების დალაგების დროს მათი თვისებების მიხედვით გაბედულად დასტოვა ადგილი მთელ რიგ ელემენტებისათვის, რომლებიც მისი განსაზღვრებით მომავალში იქნებოდნენ აღმოჩენილი და რომელთა ფიზიკურ-ქიმიური თვისებები მან იწინასწარმეტყველა პერიოდულ სისტემაში მათთვის დატოვებულ ადგილების მიხედვით. ეს წინასწარმეტყველება ბრწყინვალედ გაართლდა: 1875 წელს ლეკოკ დე-ბუაბოდრანმა აღმოაჩინა პირველი დ. ი. მენდელეევის მიერ ნაწინასწარმეტყველი ელემენტებიდან—გალიუმი (მენდელეევის ეკაალიუმინი). 1879 წ. ნილსონმა—სკანდიუმი (მენდელეევის კაბორი), 1886 წ.—გინკლერმა—გერმანიუმ (მენდელეევის ეკასილიუ ციუმი). ამ ელემენტების ფიზიკო-ქიმიური თვისებები ისეთივე აღმოჩნდა, როგორც დ. ი. მენდელეევმა იწინასწარმეტყველა. ამის შემდეგ პერიოდულმა კანონმა გადალახა უნდოობლობის ყველა ხიდ[illegible]ები და საყოველთაო აღიარება მოიპოვა.

დ. ი. მეიდელეევის დროს ცნობილი იყო 50-დე ელემენტი. ამჟამად უკვე აღმოჩეულია 92 ელემენტი, და ყველა მათ სათავეთ, მათთვის „მიჩენილი“ ადგილი უჭირავთ. პერიოდულ სისტემაში, არც ერთ მათგანს არ დაურღვევია პერიოდული სისტემის სიმწყობრე. უფრო მეტი. შემდეგ ამა გამოკვლევებმა (მოზლის შრომები), ავსებით დადასტურეს პერიოდული სისტემის სისწორე და თუმცა პერიოდულ კანონს სულ სხვა საფუძველი გამოუნახეს (ელემენტთა თვისებები წარმოადგენენ ორის ნომრის ფუნქციას), მაგრამ ამით ელემენტთა გალაგება დ. ი. მენდელეევის ელემენტთა პერიოდულ სისტემაში სრულიად არ შეცვლილა. პირიქით, მიიღო მეტი სიმტკიცე და გარკვეულობა. ყველა შემდგომი აღმოჩენები ატომის ანაგობის დარგში, სავსებით ეტყვა პერიოდული სისტემის ფარგლებში, ალრმავებს და ფართოებს მას.

მეცნიერული სოციალიზმის საფუძველმაყალი პერიოდულ კანონს დიდათ აფასებენ „ბუნების განვითარების საერთო კანონის დადგენის“ (ენგელსი) თვალსაზრისით.

[illegible] ენგელსი მენდ[illegible]ვის აღმოჩენას:

„დაბოლოს, ჰეგელის, კანონს ძალა აქვს არა მარტო რთული სხეულებისათვის, არამედ თვით ქიმიური ელემენტებისთვისაც. ჩვენ ახლა ვიცით რომ „ელემენტთა ქიმიური თვისებები ატომურობის პერიოდულ ფუნქციას წარმოადგენს, რომ, მაშასადამე, მათი თვისება განსაზღვრულია მათი ატომურობის რაოდენობით. მოხერხებულია ბრწყინვალედ დადასტურება. მენდელეევმა ნათელჰყო, რომ ატომურობის [illegible] ადგილებულ შუა ელემენტებში არის სხვადასხვა ნაკლი, რაც იმის მანიშნებელია, რომ აქ აღმოჩენილი უნდა იქნეს კიდევ ახალი ელემენტები. მან წინასწარ აღწერა საერთო ქიმიური თვისებები ერთ-ერთი უცნობი ელემენტისა, რომელსაც მან ეკაალიუმინი უწოდა, ვინაიდან იგი უშუალოდ მისდგა ალიუმინს,—და დაახლოებით იწინასწარმეტყველა მისი ხვედრი და ატომური წონა და ატომური მოცულობა. რამდენიმე წელის შემდეგ ლეკოკ დე-ბუაბოდრანმა მართლაც აღმოაჩინა ეს—ელემენტი და აღმოჩნდა, რომ მენდელეევის წინასწარმეტყველება გამართლდა სინამდვილეში [illegible] განსხვავებით: ეკაალიუმინი განსახვავდა გალიუმში, მენდელეევი ჰგიელის რაოდენობის თვისებაში გადასვლის კანონის შეუგნებლად გამოყენებით მოახდინა მეცნიერული გმირობა. რომელიც თამამად შეგვიძლია. დავეყრდნოთ ლევერიეს აღმოჩენა გვერდით. იმ ლევერიესი, რომელმაც ჯერ კიდევ უცნობი პლანეტის—ნეპტუნის ორბიტა გამოთვალა“.

პერიოდული კანონის აღმოჩენა კიდევ ერთ ტრაეეე საბუთს წარმოადგენდა იმისას, რომ „ბუნებაში ურიცხვ ცვლილებათა ქაოსში მეუფეობენ ის დიალექტიური კანონები, რომლებიც ბატონობენ ისტორიაზე მოვლენათა მეჩენებითი ზეგავლენისათვის“ (ენგელსი).

დ. ი. მენდელეევი, არ ყოფილა თანამიმდევარი მატერიალიტი და დიალექტიკოსი. თუნდაც მისი (დიალექტიკის) ჩვენებლიერი გამოყენების თვალსაზრისით „დიალექტიკა—მატერიალიზმ“, ასეთია მენდელეევის აზრი საერთოდ დიალექტიკაზე.

აქედან გასაგებია, რომ მისთვის დაფარული აღმოჩენდა პერიოდული კანონის მთელი მნიშვნელობა ფიზიკა-ქიმიის შეჯამებულ განვითარებისათვის, ატომის ქიმიური ფიზიკური ბუნების გამომეეეეენებისათვის, ატომში ჩაწვდომისათვის.

კანონზომიერებანი და კავშირი ელემენტთა ქიმიურ თვისებებსა და მათ ატომურ წონის შეფარდებაში უნებლიეთ ჩადებდა აზრს ატომთა რთული სტრუქტურის შესახებ.

მაგრამ აგნოსტიციზმს შებეჭილი ჭყავდა მენდელეევი, რომელიც სხვა შეეხებოდა ბაბუდულად ხსნიდა საიდუმლოების ფარდებს. ვერ შეეიცნობთ—ასეთია მისი პასუხი ატომის ბუნების გამარკვევის ამოცანაზე: „პერიოდულ კანონში იმდენადვე არ სჩანს მითითებები ერთიან მატერიაზე, და ჩვენი ელემენტარული სხეულების სირთულეზე, როგორც ავოგადრო-ეერარის კანონზომიერებებში ანდა თუნდაც სითბოტეულების კანონში, თვით სპექტროსკოპიის დასკვნებში“. დ. ი. მენდელეევისთვის პერიოდულ კანონში კონკრეტული [illegible]

შესაცნობი გადანასკვული იყო მარაგ შეეცნობობთან და საიდუმლოებით დაფარულთან.

მას გამოეპარა ფიზიკისა და ქიმიის დახლოებიდან და დაკავშირების ის ტენდენციები, რომელმაც გაანაყოფიერა და გაამდიდრა მეცნიერების ეს ორივე დარგი და ელი შეუწყო ატომის საიდუმლოების გამოკვლევებს.

◆

დ. ი. მენდელეევის მეცნიერული შრომების და პერიოდული კანონის უდიდეს ნიშვნელობის მიუხედავად, მეფის მთავრობამ მისი მაღალი მოხელეების და ხელმძღვანელი სამეცნიერო დაწესებულებების აზით სათანადოო ვერ შეაფასა დ. ი. მენდელეევის ოვაწლი მეცნიერების წინაშე. 100 წელს აკადემიაში წევრების მორიგი რჩევნების დროს დ. ი. მენდელეევის კანდიდატურა გაიშალეს. პროტესტების ტალღა აზვითდა და მაშინ ინსტ., უნივერსიტ., ინტელიგენციის მოწინავე წრეებში, ბევრან ეს პროტესტები ძლიერ ცოტას აშფოთებდა მეფის მთავრობას და მეცნიერების ამანდელ მესაეურეებს. ასე არ ეღირსა ჯიდეს მეცნიერს რუსეთის აკადემიის წევრობა იმ დროს, როცა მის სახელს მოწიწებითა და უდიდესი პატივისცემით იხსენიებდნენ მსოფლიოს სამეცნიერო ცენტრებში.

მეშამულურ-თვითმპყრობელური მთავრობა არ ითასებდა დ. ი. მენდელეევს. ამით ეიხსნება ის, რომ 1890 წელს დ. ი. მენდელეევი ასე ადვილად გაისტუმრეს უნივერსიტეტიდან [illegible] ტალების მინისტრ დელიანოვის*) დასტურით.

დ. ი. მენდელეევის ზოგიერთი ბიოგრაფები. განწყობილნი დიდი მეცნიერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სახის იდეალიზაციისაკენ, უკანა რიგებით ცდილობენ რევოლიუციონურ აქტივში ჩაუწერონ შეედელეევს დელიანოვისათვის სტუდენტთა პეტიციის გადაცემის (და და უნივერსიტეტიდან წასვლა მინისტრის მიერ პეტიციის არ მიღების გამო, უდავოა რომ მენდელეევს ბევრი რამ არ მოსწონდა თვითმპყრობელობის პოლიტიკაში, მაგრამ მისი ოპოზიცია მეფის მთავრობისადმი იყო ოპოზიცია ბურჟუაზიულ პოზიციიბიდან, არა მეტი.

თავის წერილებში სოციალ-ეკონომიურ საკითხებზე მენდელეევი გამოდიოდა მოწინავე ნოხრძოლად ოფლიანის სავაჭრო-სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებისათვის საშინაო და საგარეო პოლიტიკის და ეკონომიკის რა საკითხიც არ უნდა აიღოთ დ. ი. მენდელეევი ყველა ამ საკითხებში გამოდიოდა, როგორც რუსეთის ბურჟუაზიის ყველაზე უფროო მეამარჯვენე ნაწილის მისწრაფებათა ბ. მომხატველი. დ. ი. მენდელეევი გამოდიოდა, როგორც თავგამოდებული პროტექციონისტი რათა რუსეთის ნაციონალურ ბურჟუაზიას შინაური ბაზრის მონოპოლურ ექსპლოატაციის საფუძველზე საშალება მისცემოდა განვითარებია საკუთარი წარმოება, იგი გამოდიოდა მცირე ეროვნებათა დამოუკიდებლობის ბოწინაალმდეგი. (ფინეთის... დამოუკიდებლად არსებობა არ შეუძლია თუნდაც ოავისი მ

ბიბლიოგრაფია

პლაგიატის იშვიათი ნიმუში*)

მ. შალამბერიძე--„ფიზიკური ქიმია“, ნაწ. I, 1927 წ.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ სარეცენზიო წიგნი ეკუთვნის ძველი უნივერსიტეტის გამოცემებს. მართალია, მისი გამოსვლის შემდეგ ექვსმა წელიწადმა განვლო, მაგრამ, ვინაიდან ამ წიგნის გამოცემას ამ ხნის განმავლობაში არავინ გამოხმაურებია, ჩვენ საჭიროდ ვსცნობთ დაგვიანებით მაინც შეეცნოთ მას, მით უფრო, რომ ეს წიგნი აქა-იქ, თუ სახელმძღვანელოდ არა, დამხმარე წიგნად მაინც არის მიჩაჩული, გარდა ამისა, საქართველოს ზოგიერთი სამეცნიერო მუშაკები ამ წიგნს პროფ. შალამბერიძის სამეცნიერო ნაშრომად თვლიან, თუმცა მისი მყვინარალა პლაგიატური ხასიათი არ შეიძლება მათთვის დაფარული იყოს.

ჩვენი პრესის ფურცლებზე ბევრი პლაგიატი ყოფილა მხილებული, მაგრამ მ. შალამბერიძის ხელნაწერი „ნამოღვაწარი“ სცილდება ჩვენში ცნობილი პლაგიატის ყველაზე შესანიშნავ ნიმუშებს.

მ. შალამბერიძე ფიქრობს, რომ საკმაოა „ლიტერატურობაში“ მოიხსენიონ სხვადასხვა ავტორები, რომ ამის შემდეგ უფლება გქონდეს სიტყვა სიტყვით თარგმნო მათი ნაშრომები და ამგვარად შედგენილ წიგნზე საკუთარი სახელი და გვარი აღბეჭდო. ჩვენ ვიცით, რომ მეტად ძველია თავიდან ბოლომდე ორიგინალური ნაშრომის დაწერა, მით უფრო სახელმძღვანელოსი. რა რიგ მრავალი საკუთარი გამოკვლევები არ უდა ჰქონდეს მას, წიგნის შედგენის დროს ყოველთვის სარგებლობს სხვადასხვა ავტორთა შრომებით, მაგრამ ამ ნაშრომებიო სარგებლობა, სრულიად არ გულისხმობს ამ წყაროების პირდაპირ თარგმნას და გადმოტანას თავის წიგნში. ამიტომ არსებობს ლიტერატურაში თერმინები: საკუთარი ნაშრომი, კომპილაცია და თარგმანი. სამწუხაროთ ზოგიერთი ჩვენი სამეცნიერო მუშაკი სრულიად არ არიკვეს ამ თერმინებსა ნიშვნელობას და მოურიდებლად ეწევა სხვისი ნაშრომების „ექსპროპრიაციას“.

ასე მოქცეულა მან. შალამბერიძე თავისი „ფიზიკური ქიმიის“ შედგენის დროს. ეს მისი წიგნი თითქმის თავიდან ბოლომდე წარმოადგენს წინასიტყვაობაში დასახელებულებულ და დაუსახელებელ ავტორთა შრომების სიტყვა-სიტყვითი თარგმნის და „საკუთარი სიტყვებით“ გადმოცემის ავტორთა აზრების თანამიმდევრობის დაცვით.

რომ სიტყვა არ გავაგრძელოთ, მოვიყვანთ ფაქტებს:

მ. შალამბერიძე. „ფიზიკური ქიმია“ გვ. 7.

„წონა, ყველაზე ზოგადი თვისება, რომლის მიხედვითაც ჩვენ სხეულის წარმოდგენას ვქმნით, ეს არის წონა. როდესაც ჩაზნექილ სარკეში რაიმე სხეულის მეორ წარმოშობილს ტანად სურათ-სხეულს ვხედავთ, ამისთანა სურათს ჩვენ სხეულს არ უეჭველი, რადგანაც მას წონა არა აქვს. წონის შესახებ წარმოდგენას ვღებულობთ კუნთების შეგრძნებით“.

ბ. შალამბერიძე. „ფიზიკური ქიმია“ გვ. 8.

„ზომა. საგნის წონის ამისთანა ობიექტიურ ღირებულებას მივიღებთ ჩვენ ზომით. ყოველნაირი ზომა შედგომარეობს შეგვაქს თვისებათა შედარებაში, სიგრძე სიგანი ვზომავთ, დროს დროით და, ამა მიხედვით, წონაც წონით შეიძლება გავზომოთ“.

ბ. შალამბერიძე. გვ. 8.

„ абсолютური ენერგია. ზემოხსენებულის მიხედვით A სიდიდე წარმოადგენს განხილულ სისტემის მსვლელობასთან დაკავშირებულ ენერგიის ცვლილების იმ ნაწილს, რომელიც მთლიანად გადაიქცევა გარემოშობათან, ცოცხალ ძალად... და, მაშასადამე სითბოდაც, ერთი სიტყვით იგი შეიძლება ყოველნაირად იზოლიდეულად გარდაიქმნას. ამიტომ Helmholtz-მა A-ს უწოდა: „თავისუფალი ენერგიის ცვლილება“, ხოლო (A—U)-ს ე. ი. თავისუფალ და საკუთარ ენერგიის ცვლილებათა განსხვავებას,—„ბმული ენერგიის ცვლილება“.

მაგრამ განსაკუთრებით მოურიდებლად არის „ექსპროპრიაციებული“ მ. შალამბერიძის მიერ წინასიტყვაობაში დასახელებულ ავტორთა შორის „გამოტოვებული“ ჯონსი:

ბ. შალამბერიძე. (გვ. 13-14).

„ატომები, მოლეკულები და ატომთა ზონა, პირველი შეხედულებით ატომთა შედარებითი წონის განსაზღვრა თითქოს ძალიან უბრალო რამე უნდა იყოს. საკმარისია განვსაზღვროთ ის წონითი ოდენობა, რომლისაც სხეულები ერთმანეთს ურთიერთდებიან ე. ი. ეკვივალენტები, რომ შეეიტყოთ [illegible] ნივთიერების ატომების შეერთებისა [illegible]. და ეს სრული ჭეშმარიტებაა, [illegible] ერთი ნივთიერების რაიმე რიცხვი ატომებისა მეორე ნივთიერებას ატომების მუდამ ერთსა და იმავე რიცხვს უერთდებოდეს. მაგრა ჩვენ ვიცით, რომ ეს მუდამ ასე არ არის. ხშირად ორი სხეული ერთმანეთს სხვადასხვა შეფარდებით უერთდება. ატომთა შედარებითი წონის განსაზღვრისათვის ჩვენ გვესაჭიროება ეკვივალენტების ცოდნა და აგრეთვე ისიც, თუ ერთი ნივთიერების რამდენი ატომი უერთდება მეორე ნივთიერების ატომებს.

ჯერ ეკვივალენტების განსაზღვრის მეთოდი განვიხილოთ.

ბ. შალამბერიძე. „ფიზ. ქიმია“ გვ. 158.

„ჩვენ რომ აგვოლთ ერთი წვეთი სუბლიმა ყვითელი მარილის ხსნარისა და ფერხილათ ჩაუშვათ შაბიამნის ხსნარში, იგი მაშინვე შემოიკრის წითელი ალკის, რომელიც, როგორც ვიცით, საუცხოო ნახევრადფოხვად ამას წარმოადგენს“... „თუ ყვითელი მარილის ხსნარი სპილენძისაზე. სუსტია, მაშინ ალკიდან გარეთ გამოვა წყალი, რომელიც გააიშვიათებს სპილენძის მარილის ხსნარს“.

*) უადგილობის გამო წერილი დიდის დაგვიანებით იბეჭდება.

შალამბერიძე. (გვ 19).

„ატომური წონა და იზორმორფიზმი. უკვე მე-18 საუკუნეში იყო შენიშნული, რომ სხვადასხვა შემადგენლობის ნივთიერებანი ხშირად ერთსა და იმავე კრისტალური ძოყვანილობისანი არიან. პირველში ამას ისე ხსნიდნენ, თითქოს ზოგს სხეულს თვისება ჰქონდეს მიაღებინოს სხვა სხეულებს თავისი სახე. 1820 წელს კი ამას სულ სხვა განმარტება მისცა. ის აღმოაჩინა დარიშხანისა და ფოსფორის მჟავის მარილებს და შეამჩნია, რომ ის მარილები, რომელთა ატომების რიცხვიც მოლეკულში ერთი და იგივეა, თითქმის ერთგვარი კრისტალური მოყვანილობისანი არიან, აქედან მან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ კრისტალს სახი დამოკიდებულია მოლეკულში ატომთა რიცხვის რაოდენობაზე და არა მათ ბუნებაზე. შემდგომში კი იმ დასკვნას დაადგა, რომ ეს ფაქტი ზნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ საკითხს, თუ როგორ არიან ატომები ერთმანეთთან დაკავშირებულნი“.

შალამბერი. (გვ. 55).

„რენიოს გამოკვლევით მთელი რიგი აირების სითბოტევნილობა მუდმივია და არ არის დამოკიდებული ტემპერატურასთან. (შემდეგში Le Chatelier-მ, Wiedemann-მა და სხვებმა დაამტკიცეს, რომ ცოტაოდენად მაინც არსებობს ეს დამოკიდებულება), ხოლო CO-ისა [illegible] ეს ფაქტი [illegible] ეკუთვნის. რაც მეტად იწვეს მალლა ტემპერატურა, სხვა და სხვა აირების სითბოტევნილობა ერთსა და იმავე სიდიდეს უტოლდება.

ქვემოთ მოყვანილია რამდენიმე სითბოტევნილობის მაგალითი, რომლებიც გამოანგარიშებულია არა წონის ერთეულებზე, არამედ მოლეკულური წონის რიცხვებზე“.

(მოყვანილია ცხრილი)

„...ვიდემანმა სავადასხვა გაუმჯობესებულ შეიტანა რენიოს მეთოდში და უფრო მარტივი ხელსაწყოებით, რენიოსაზე ნაკლები შედეგები არ მიიღო. დიდი გძელ მილებიანი სითბოს საწყოების ნაცვლად მან მოკლე მილები იხმარა, რომლებშიაც ჩაყრილი იყო ვერცხლის ბურბუშელა, რადგანაც აირი ამ შემთხვევაში უფრო მეტს პირეულსა ხვდება, ამიტომ უფრო ჩქარა და სრულად მყარდება სითბოს თანასწორობა.

აქვე უნდა გავაკვირვოთ მკითხველი. მარ თალია, მ. შალამბერიძე „ტერმინია და შრომის“ ფურცლებზე ამტკიცებდა, რომ აკად. პისარევსკეს „არაორგანიული ქიმიის კურსი“ 20 წლით არის ჩამორჩენილი, მაგრამ 1927 წ. მ. შალამბერიძე ამის შესახებ სულ სხვა აზრის ყოფილა, რასაც ამტკიცებს საქმიდან უხეი თარგმანი აკად. პისარევსკისა წიგნიდან — „ელექტრონი ხსნართა ქიმიაში“ (1923 წ. გამოცემა) და „არაორგანიული ქიმიის საფუძვლებიდან“ (1922 წ.), ყველაზე სენსაციური ის არის, რომ მ. შალამბერიძეს აკად. პისარევსკეს შრომებიდან ნასესხები აქვს სწორედ ის, რის აღიარებასაც ის ამ. [illegible] 1922 წ.

[illegible] ეკვივალენტი, [illegible] ფაქტია.

საკმაოდ მოიპოვება აგრეთვე ისეთი ადგილები, რომლებიც არ ვიცით რას მივაწეროთ—მ. შალამბერიძის უვიცობას, თუ მ. ზერელეობას აზრების ფორმულირებაში. მაგალითად, პროფ. შალამბერიძე გვასწავლის, რომ ქლორ-იონი „ქლორის ატომ-რომ ფორმას წარმოადგენს“, რომ „სწორედ ამგვარადვე ეშვიკილი ეიმსჯელოთ Na მიმართ“ და სხვა. ყველა ქიმიკოსმა იცის, რომ ელექტრონი ეწოდება ერთ და იმავე ნივთიერებათა სხვადასხვა სახეებით არსებობას, რაც აიხსნება ატომთა ნაირი განლაგებით სივრცეში (მაგ. ნახშირბადი, რომელიც ცნობილია ორი ალოტროპიული სახით—გრაფიტი და ალმასი). ქლორის ალოტროპიის ამბავი ჯერ ქიმიურ ლიტერატურაში არ არის ცნობილი და არ ვიცით, რამ აღძულა (როგორც თვითონ ამბობს) მ. შალამბერიძე ამგვარი დასკვნა გამოეტანა, სწორედ ამგვარი ალოტროპიული „მარგალიტებით“ არის შემკული პროფ. მ. შალამბერიძის წიგნის ის ადგილები, სადაც ის თარგმნის მაგიერ საკუთარ „ორიგინალურო“ აზრებით გვიმასპინძლდებიან.

რათ ღირს თუნდაც მ. შალამბერიძის მტკიცება, რომ „ყოველი ნაერთი იშლება ელექტროდადებით—ნაწილაკ-კატიონად და ელექტრო-უარყოფით ნაწილაკ-ანიონად. ეს იონები შეიძლება შესდგებოდნენ ან ერთი ატომისაგან ან მთელი ჯგუფისაგან. პატარები ჩვეულებრივ უბრალო ატომებს წარმოადგენენ: K', Na, Fe, Ba... ანიონებად კი უფრო ხშირად გვხვდება რთული ჯგუფები Cl', S'', (Clo')...

ჯერ ერთი, რომ არა ყოველი ნაერთი იშლება „ელექტროდადებით და ელექტრო უარყოფით ნაწილაკებად“ (მაგ. შაქარი, გლიცერინი და სხვ.).

შემდეგ, იონი არ შეიძლება შესდგებოდეს ატომიდან და მით უფრო ატომთა ჯგუფიდან, თუ გინდ ამიტომაც, რომ როგორც ამას სწერს თვით მ. შალამბერიძე აკად. პისარევსკის წიგნიდან ნათარგმნ ადგილას (გვ. 329), დადებითი იონები წარმოადგენენ ელექტრო-დაკლებულ ატომებს, ხოლო უარყოფითი იონები ელექტრონ-შემატებულ ატომებს“. მ. შალამბერიძე აკ. ნაკლულ ნაწილებს ეს ნაწილ-ნაწილ ნაერთ ნაერთ ადგილ-ადგილ ... K', Na, Tëდა სხვა წარმოადგენენ „ჩვეულებრივ უბრალო ატომებს“. საინტერესოა, რა ელექტრონ „არაჩვეულებრივი“ ატომები. შეიძლება მ. შალამბერიძეს უნდოდა დაეწერა სიტყვა „ჩვეულებრივად“, ოგორც ეს აქვს ჯონსს?!

ზემოთმოყვანილ ამონაწერში მ. შალამბერიძე რთული ანიონების რიცხვს აკუთვნებს ისეთ მარტივ იონებს, როგორიც არის ქლორ-იონი და სულფიდ-იონი. გასაგებია, რომ Clo' წარმოადგენს რთულ ანიონს, ვინაიდან შეიძლება მისი დაშლა ქლორად და ჟანგბადად, მაგრამ ოა შემადგენელ ნაწილად შლის მ. შალამბერიძე ცალკე ქლორ-იონს და ცალკე სულფიდ-იონს?.

ყველაფერი ეს მ. შალამბერიძეს არ დაუმორთებდა, რომ მას ყველგან დაეცვა პირდაპირი თარგმნის წესი და არ მიემართა ჭრა-კერვის მეთოდისათვის.

როგორია „სახელმძღვანელო“ მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით?

პროფ. მ. შალამბერიძის მიერ თარგმნილი ავტორების უმრავლესობა ეკუთვნის მარქსისტების, გაუსწორებელი იდეალისტების სანაკს, ზოგიერთი მათგანი (მაგ. ოსტვალდ, და სხვ.) ცნობილია თავიანთი დამთავრებული იდეალისტური სოფლმხედველობით, რომლის წინააღმდეგ იბრძოდა და იბრძვის მარქსისტული აზრი. ეს იდეალისტური შეხედულებანი სასტიკად გააკრიტიკა ლენინმა თავის „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“.

მ. შალამბერიძე უკომენტარიოთ თარგმნის ამ ავტორებს და თავისი გვარის დასმა მეგვარად „შედგენილ“ წიგნზე პასუხისმგებლობას კისრულობს ხსენებულ ავტორთა იდეალისტური შეხედულებებისათვის. ეს არც ისე საძნელო საქმეა მისთვის, ვინაიდან თვითონ ორივე ფეხებით სდგას იდეალისტურ-რეაქციონური ფილოსოფიის პოზიციაზე.

მაგალითად, თუ მ. შალამბერიძეს დაუჯერებთ, „არ უნდა ვიფიქროთ, რომ ფიზიკური ქიმიის სახელმძღვანელოს რაიმე პრაქტიკული საკითხების შესწავლა და განხორციელება ესახოს მიზნად: ფიზიკური ქიმია თეორიულ ფარგლებს არ უნდა სცილდებოდეს“ („ბაზი ჩვენია).

თეორიისა და პრაქტიკის რეაქციონური გათიშვის ცდას რომ თავი დავანებოთ. პროფ. შალამბერიძე ცდილ სწამებს ჩვენს ვიზიკური ქიმიის საკვლევ ინსტიტუტებს, რომლებიც ვითომდა პრაქტიკულ საკითხებსა ან ისაბავენ მიზნად ე. ო. სოციალისტური მშენებლობის მიზნებს კი არ ემსახურებიან, არამედ ცხოვრებისაგან მოწყვეტილ აკადემიების დაბირინთში მოგზაურობით ერთობიან.

ასე ამრიგად პროფ. მ. შალამბერიძეს მაკრათ აქვს ხელი ჩაჭიდებული მეცნიერებისა და კვლევითი სამეცნიერო მუშაობა ცხოვრებისაგან მოწყვეტის ლოზუნგებისათვის („ხელოვნება-ხელოვნებისათვის“ ლოზუნგი მეცნიერებაში).

თუ მ. შალამბერიძის აზრით ფიზიკური ქიმია თეორიულ საკითხებს არ უნდა ეხებოდეს, მიზნად „ჩვეულებრივი ქიმია“ (რომელთა ეს „ჩვეულებრივი ქიმია“—არორგანული, ორგანული, კოლოიდალური? ავტორები) თურმე შემდეგი საკითხებია „საზღვრავს თვის ასპარეზს“: „მას აინტერესებს ნივთიერების ქიმიური ფორმულა, ფერი, გარეგანი მოყვანილობა (კრისტალური თუ ამორფი), კრებულობითი მდგომარეობა (სითხეა, აირი თუ მყარი ტანისა), მისი ფოლნარობა, თუ დუღილის ტემპერატურა, მისი წყალში ხსნადობა, დამზადება და სხვა ჩვეულებრივ მოელენანი, რომლებსაც თითქმის არა ვთარი კავშირი არა აქვთ ერთმანეთთან“ (გვ 1).

ეს ბატარა წინადადებაში მ. შალამბერიძეს მოაბერხა ყალბი აზრების მონაბლანდის ალმართვა. ჯერ ერთი, რომ არც ფერი, არც მოყვანილობა, არც დნობისა და დუღილის ტემპერატურა, ნივთიერებისათვის მოვლენას არ წარმოადგენს, არამედ თვისებებს. მეორე, ამ თვისებებს სწორედ რომ მჭიდრო კავშირი აქვთ ერთმანეთთან. ეჭვი მთავარია, ნუ თუ კვლევა-ძიება „ჩვეულებრივ“ ქიმიაში მხოლოდ ფერის, სუნის და გემოს გამოკვლევას ისახავს ამოცანად? შალამბერიძე აქ არ ეთანხმება ენგელსს. რომელიც გვასწავლის, რომ „ქიმიას შეგვძლია უწოდოთ მეცნიერება სხეულთა თვისებრივი ცვლილებების შესახებ, რომლებიც ხდება ოდენობრივი შემადგენლობის შეცვლის შედეგად“. მ. შალამბერიძე განსაკუთრებული აზრის არის და ეს აზრი შეიტანა „თავის“ წიგნში.

შესავალში, საიდანაც ეს მაგალითები ამოღებული, სხვა მრავალი ამგვარი „მაგალითებია“ გაბნეული, მაგრამ ეფექტობი ესეც საკმაოა.

შემდეგ, პროფ. შალამბერიძე მოუფიქრებლად ურევს ერთმანეთში ძალასა და ენერგიას:... „ძალა ანუ ენერგია ისეთე წარუცალია, როგორც ნივთიერება“. სასკოლო ფიზიკაში ძალათ იგულისხმება მოძრაობის მიზეზი. თავი როა გაგანებოთ ამ თერმინარა გარკვეულობას, მაინც შეუძლებელია ეისი აღრეცა ენერგიასთან, რომელიც წარმოადგენს „მოძრაობის ზომას“

ყოველად შეუძლებელია ამოწურვა მთელ ამ შეცდომების და ყალბი აზრების, რომლთაც მედგარია შალამბერიძის „ფიზიკური ქიმია“. ამიტომ ჩვენ ვამთავრებთ ჩვენ ეს ზოგად განხილვის, დასასრულ გვსურს მეეჩერდეთ ერთ საკითხზე.

როგორო მოხდა, რომ ექვსი წლის ეკვალელობაში, რომელმაც განვლო ამ ალმაშოთებელი პლაგიატის—უხეში შეცდომებით და ყალბი მეხეულებებით სავსე წიგნის გამოქვეყნებიდან, არც ერთი სამეცნიერო მუშაკს (ჩვენ ვგულისხმობთ ქიმიკოსი და კერძოთ ფიზიკურ ქიმიაში მოუღია ეებს) კრიტიკე არ დაუძრავს ამის შესახებ, თუმცა წარმოუდგენელია და დაუჯერებელია, რომ მ. შალამბერიძის წიგნის ნამდვილ წყაროებ, მათთვის ნათელი არ ყოფილიყო. მაგრამ დუმილი კიდევ ცოტაა. ბევრი, რომლისთვისაც პროფ. შალამბერიძის პლაგიატი არ შეიძლება დაფარული ყოფილიყო, ამ წიგნს მაინც სწერდა პროფ. შალამბერიძის „სამეცნიერო მოღვაწეობის“ ქებაში.

სრულის პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადოთ, რომ ამ პლაგიატის დაბეჭდვისა და მის გარშემო დუმილის ფაქტი შესაძლებელი იყო მხოლოდ ამ განწყობილებებს პირობებში, რომელიც ჩვენი სამეცნიერო ბუშაკების ერთ ნაწილში იყო გამეფებული და რომელიც სამოლოოდ ჯერაც არ არის აღმოფხვრილი. ამ განწყობილებებს ჰკვებავდა და ჰკვებავს „საკუთარ ფეხებზე“ დგომის ნაციონალისტური თეორია, რომელიც ამხ. ლ. ბერიამ ამხილა საქ. კ. პ. (ბ) მე-9 ყრილობაზე. ამ თეორიის მოტრფიალეებმა ადამიანზე მსჯელობენ არა ნისი საქმეების და ამ საქმეების ღირსების მიხედვით, არამედ იმის მიხედვით ქართველია თუ არა ქართველი, ფსა თუ ის პიროვნებაა. თუ ქართველია მას ყველა ცოდვები წინასწარ აქვს მოტევებული. ასე მოხდა მ. შალამბერიძეც მიმართაც.

ამ განწყობილებებმა „საკუთარ ფეხებზე“ დგომის ნაციონალისტურ თეორიას, სასტიკად უნდა დაგარტყათ.

ჯერ-ჯერობით ჩვენ არა გვაქვს შესაძლებლობა ყველა დისციპლინებში ვიკონოთ ნამდვილად ორიგინალური (ავტორის საკუთარ ცდებზე და მუშაობაზე დამყარებული) შრომები ქართულ ენაზე. ეს ჯერ-ჯერ დიდხანს მოგვიდგება სახელმძღვანელოების შედგენის დროს მიტ წილად რუსულ და უცხო ენებზე გამოსულ შრომების გამოყენება, მაგრამ სახელმძღვანელოს თითეული შედგენისათვის სავალდებულოა რაღაც ორიგინალური მაინც შეიტანოს თავის კომპილაციაში (მასალის დალაგება, მისი შეგუება ადგილობრივ პირობებთან და თავისებურებასთან. შევსება და სხვა), ეხეი რო „ორიგინალურ“ სახელმძღვანელოს და მით უფრო პლაგიატის უნდა ვამჯობინოთ პირდაპირი თარგმნა.

ლიტერატურული ქურდობა—ეს არის ისა ძაგლესი, რაც კი შეიძლება ჩაიდინოს ადამიანმა, რომელიც თავის თავს მეცნიერულ მუშაკს უწოდებს.

ვ. კოკოჩაშვილი.
ე. ფულაძე.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტის პარტიულმა კომიტეტმა 17 დეკემბრის სხდომაზე მოისმინა რა ბრიგადის მოხსენება პროფ. ბ. შალამბერიძის წიგნზე, საჭიროდ სცნო „ბ. შალამბერიძის „ფიზიკური ქიმია“, როგორც უხეში პლაგიატი, მეცნიერულის თვალსაზრისით უმეტოდო ჩამორჩენილი და ანტიმარქსისტული აზრების შემცველი“.

ალიკვეთოს ხმარებიდან.

რედაქტორი სარედ. კრიტ. კოლეგია

უფრო მაღლა სოცშეჯიბრებისა და დამკვრელობის დროშა

(ისტორიულ - ლიტერატურულ ფაკულტეტი)

ისტორიულ - ლიტერატურულ ფაკულტეტზე ორჯერ ჩატარდა სოცშეჯიბრების და დამკვრელობის თვითშემოწმება: პირველი — ოქტომბრის შუა რიცხვებში და მეორე — იანვრის დამლევს.

პირველიდან მეორე შემოწმებამდე ფაკულტეტმა ზნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია: თუ პირველი შემოწმების დროს სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო სტუდენტთა 90 პროც., იანვარში ეს პროცენტი 100-მდე გაიზარდა; დამკვრელობის პროცენტიც ამავე ხნის განმავლობაში 54,5 60-მდე ავიდა.

თუ პირველი შეჯიბრების დროს სოცშეჯიბრების ვალდებულებათა შესრულება აღწევდა 88 პროც., მეორე შემოწმებისათვის, პარტორგანიზაციის სწორი ხელმძღვანელობის შედეგად, მიღწეულია სოცშეჯიბრების მუხლების თითქმის 100 პროც. შესრულება.

ფაკულტეტი აერთიანებს 18 ჯგუფს. უკანასკნელი შემოწმება შეეხო 15 ჯგუფს, აქედან 7 დამკვრელი ჯგუფია. შემოწმების შედეგად დამკვრელი ჯგუფებიდან პირველი ადგილი დაიკავა ისტორიულმა მე-3 კურსმა, მეორე — ფილოსოფიურმა მე-3 კურსმა, მესამე — ისტორიულმა მესამე კურსმა.

დანარჩენებიდან მოწინავეა ქართული პირველი კურსი.

ფაკულტეტზე არის ჩამორჩენილი ჯგუფებიც: რუსული სექცია — მეორე კურსი, ევროპიული — მე-3 კურსი.

შემოწმების შედეგად წითელ დაფაზე შეტანილია 56 სტუდენტი — 21 პარტიის წევრ-კანდიდატი, 26 ჭარბშეგირული, 9 უპარტიო. შავ დაფაზე — 6 კაცი (სამი ჯერ ვამოწმებ, 3 ერთ ჯერ). დანაჯილდოებულად წარდგენილია 20 კაცი.

ჩვენს ფაკულტეტს შეუძლია იამაყოს მრავალი სტუდენტით, რომლებიც მაღალ აკადემიურ წარჩინებას წარმატებით ათავსებენ დიდ საზოგადოებრივ - პოლიტიკურ მუშაობასაც: შალვა კალანდარიშვილი, აკაკი ჩხეიძე, დავითელ მეგრელიშვილი, შალვა მაჟრაძე, მოსე ტუღუში, ვასილ კოპალიანი, ვალიკო დათუნაშვილი, აუსეინ ყირისი-ოღლი, გრიშა ამირეული, ვარლამ სიჭინავა, პოლიკარპე კეკელიძე, ნინა ბერაია და სხვ. მაგრამ გვყავს ჩამორჩენილებიც, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ ფაკულტეტმა მთელი ასი პროცენტით შეასრულოს დამკვრელობის და სოცშეჯიბრების პირობები. ესენი არიან: ალექსანდრე ბიწაძე, კონსტანტინე ქანტარიშვილი, ანიკო ელიზბარაშვილი და სხვ.

ჩვენი მორიგი ამოცანაა: სასტიკი ბრძოლა ცრუდამკვრელობის წინააღმდეგ, სოცშეჯიბრება-დამკვრელობის მიმდინარეობის სისტემატიური აღრიცხვის ორგანიზაცია, სოცშეჯიბრება-დამკვრელობაზე კონკრეტული - ოპერატიული ხელმძღვანელობის გაძლიერება.

ვ. სამუგია

მე-2 სემესტრში ვიგრძოლოგთ კიდევ უფრო ძლიერ ბრძოლებს

ეკონომიურ ფაკულტეტს პირველ სემესტრში მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს, ოგორც რიცხვობრივი, ისე თვისობრივი მაღალი მაჩვენებელთათვის დისციპლინის განმტკიცებისა და მარქსისტულ - ლენინური თეორიის სწავლისათვის ბრძოლაში, კერძოთ სტაბილური სასწავლო გეგმის შედგენისა და მისი შესრულების საქმეში.

ეკ. ფაკულტეტზე ირიცხება 1183 კაცი პარტიის წევრი — 135, კომკავშირელი — 581, უპარტიო — 426. სოცშეჯიბრებაში ჩაბმული იყო სტუდენტთა 100 პროც. სოცშეჯიბრების მუხლები ფაკულტეტზე შესრულებულია 92,7 პროცენტით.

დამკვრელი გვყავდა 518 კაცი (46,6 პროც.): 73 პარტიული, 390 კომკავშირელი და 136 უპარტიო. დამკვრელთა მიერ ნაკისრი ვალდებულებები შესრულებულია 97,2 პროცენტით.

დამკვრელებიდან, როგორც აკადემიური, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლევა 184 კაცი. ალმასბიურიანი დასაჯილდოებლად წარდგენილია 29 კაცი, პროფკომმა დამკვრელთა დასაჯილდოებლად გასცა 590 მანეთის ლიტერატურა.

მაგრამ გვყავს, სამწუხაროდ, ცრუდამკვრელები, რომლებიც ჩამორჩენ აკადემიურად, აქაფერი გაუკეთებიათ საზოგადოებრივ დარგში, ასეთებია: არსენიძე, სახელაშვილი, ამირანაშვილი, ხიჩველი, ალუაძე, გოგიჩაიშვილი, ჩხეიძე, რუხაძე და სხვ., რისთვისაც 53 კაცი შავ დაფაზე იქნა შეტანილი.

მთელ რიგმა დამკვრელმა ჯგუფებმა წარმატებით შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები: თეორიული მე-3 კურსის **№22 ჯგუფი**, რომელიც დაჯილდოებული იქნა გარდამავალი დროშით და შეტანილი წითელ დაფაზე; თეორიული 2 კ. **№ 7 ჯგუფი**, თეორიული 3 კ. **№ 28 ჯგუფი**, სგეგმო 2 კ. **№ 9 ჯგუფი**, ამავე განყოფილების 1 კ. **№ 3 ჯგუფი** და სხ.

ამ მიღწევებთან ერთად გაქრნდა ძნიშვნელოვანი ნაკლიც, კერძოთ დისციპლინის საკითხში. მთელს ფაკულტეტზე **უმიზეზოთ არის გაცდენილი 7.971 კაც - საათი**

სუსტი იყო მასიური მუშაობა. არ ხდებოდა სოცშეჯიბრების და დამკვრელობის მიმდინარეობის სისტემატიური შემოწმება.

მეორე სემესტრში ეკ. ფაკულტეტს პროფკომი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით ბოლშევიკურად იბრძოლებს ყველა ამ დეფექტების ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად, იმისათვის, რომ უზრუნველჰყოს სასწავლო გეგმების შესრულება მაღალი ძაჩვენებლებით და ჩვენი უნივერსიტეტის გამარჯვება უმაღლესი სასწავლებლების მეორე საკავშირო შეჯიბრებაში.

ტ. სულაბერიძე
ვ. ფანია
სამეურნეოშვილი

გავამაგრეთ დისციპლინა

(სამართ. ფაკ., № 40 ჯგუფი)

ჩვენს ჯგუფში პირველ სემესტრში დისციპლინა ძლიერ სუსტი იყო. ჯგუფის სამკუთხედმა ვერ გარდაქმნა მუშაობა იმგვარად, რომ უზრუნველეყო სასწავლო გეგმის შესრულება. სტუდენტები **მიხ. გაბუნია და სამსონ ფიფია** ლექციებზე სრულიად არ ცხადდებოდნენ. როდესაც გაიმალა მუშაობა სესიებისათვის მოსამზადებლად, ამ სტუდენტებმა არ ინებეს მაგარ სტუდენტებზე მიმაგრება და ექვს-ექვსი საგანი დარჩათ ჩაუბარებელი.

დეკანატმა გაბუნია გარიცხა უნივერსიტეტიდან. ფიფიას წინააღმდეგ კი არაავითარი ზომები არ მიუღია და ის მეორე სემესტრშიაც განაგრძობს გასტროლიორობას ლექციებზე.

ზოგიერთ სტუდენტებს საპატიო მიზეზით აქვთ გაცდენილი ლექციები, მაგრამ დოკუმენტებს ჯიბით ატარებენ და დეკანატში არ მიაქვთ (**ე. ჩანტლაძე**).

სტ. ბუბუტეიშვილი აცხადებს: „მე მოსამსახურე ვარ, რომ გავაცდინო ლექცია, არა უშავს, წესი ასეთიაო“ (?!). ეს არის ყოველად უპასუხისმგებლო განცხადება.

ჯგუფის სამკუთხედმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი დისციპლინის ასამაღლებლად, იმისათვის, რომ ჯგუფი, რომელიც დისციპლინის სუსტისათვის შავ დაფაზე იყო შეტანილი 1-ლ სემესტრში, მოხვდეს წითელ დაფაზე.

ე. ბ